

კაჟა ეტჳისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკარსალი“  
თბილისი 2019

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღვა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2019



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 3

2019



მთ. რედაქტორი

**ბადრი ქუთათელაძე**

პოეტი, სახელმწიფო პრემიის  
ლაურეატი, ნიკო ნიკოლაძის  
პრემიის ლაურეატი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

---

თბილისი, 0186, ა. პოლიბოკოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-591-4 (3 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობელისა და „დიოკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცენიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეშვილების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდენტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე შესრულებული ტომეშვი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადასრულებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზიდენტის მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## კოეტის ასტრომეული „კოსმიური კოეზია“

ვაჟა ებრისეელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შეგადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნები“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბარი მუნაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუნაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მამიერ თავისი „კოლხური უსაღმუნების“ იბამიუფლომელი ასტრომეული ლაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, ღავიწყების ნაცარმძირელი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეულზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟანი მისვლია... მათ იცინან იმ იწყება დღამიწის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიშვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მენიორებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



**„ბულცივად უხევი ყოველ ქებას, ყოველ  
ძაბებას.“**

**ა. პუშკინი**

გთავაზობთ, ამონარიდებს ვაჟა ეგრისელის შე-  
მოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართულ და  
უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღ-  
ვაწეთა წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილებიდან:

**ვაჟა პირველი** – ფშაველა, ვაჟა მეორე – ეგრისე-  
ლი, ვაჟა მესამე – ყუბუსიძე, ვაჟა მეოთხე – ჩორღელი,  
ვაჟა მეხუთე – ხორნაული“... „რია-რია“. 1993

**სერგო წურწუშია** – გენერალ-ლეიტენანტი, აკადე-  
მიკოსი: „... ვაჟა ეგრისელი პლანეტის პოეტია და ამი-  
ტომ მსოფლიო ასტრონომთა ასოციაციის 2007 წლის  
15 მაისის გადაწყვეტილებით, როგორც ასტროლატრი  
პოეტის, ვაჟა ეგრისელის სახელი ეწოდა ახალ აღმო-  
ჩენილ ვარსკვლავს“...

**ზაურ გოგოლაძე** – ისტორიკოსი, პროფესორი: „...  
ვაჟა ეგრისელი დიდი ქართველი პოეტის გარდა, დიდი  
საზოგადო მოღვაწეცაა“...

**ზურაბ ბუკია** – ბიოლოგი, პროფესორი: „... დღევან-  
დელ საქართველოში არა მგონია იყოს მეორე ქართვე-





ლი პოეტი, ვისაც ვაჟა ეგრისელივით ეძღეროს პრეისტორიულ და ისტორიულ კოლხეთისთვის, ე. ი. საქართველოსთვის”...

**შალვა სიჭინავა** – ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი: “... უაფხაზეთობა მე ვაჟა ეგრისელის პოეზიამ, განსაკუთრებით „კოლხურმა ფსალმუნებმა გადამატანინეს”...

**ზურაბ აბრალავა** – ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, მწერალი, პუბლიცისტი: „... ვაჟა ეგრისელი კოლხეთის სულიერების ციხის ქონგურზე მეციხოვნედ მდგარი, დიდი ქართველი პოეტია”...

**შარბ ხოჭოლავა** – მხატვარი, სართველოს, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“-ს აკადემიკოსი) „... რომ შეიძლებოდეს, ვაჟა ეგრისელის საოცარ ფერწერულ ლექსებს „დავხატავდი,” მზის ჩარჩოში ჩავსვამდი და ქართულ ცაზე ჩამოვკიდებდი...”

**ველოდი მირცხულავა** – ისტორიკოსი, აკადემია „ქალდეა“-ს ნამდვილი წევრი: „... როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი წერს: გვარი – მირცხულავა „მურიცხე-ბიდან“ – ვარსკვლავებიდან მოდის და დედის გენმა – ვაჟა ეგრისელი როგორც დიდი პოეტი ცის საიდუმლოებებს აზიარა...”

**ვახტანგ თორაძე** – პროფესორი, აკადემიკოსი: „...



პრეისტორიული, ქრისტემდელი მადლი და რწმენა მეუფობს ვაჟა ეგრისელის ღვთიურ პოეზიაში, რადგან „მის შექმნაში თვითონ ქრისტეს, როგორც მამის თანაარს, თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი...“

**გია კვაშილავა** – მკვლევარი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის ფიქრშიუწვდენელი შემოქმედება, ისეთივე საოცრებაა, როგორც ოთხიათასი წლის წინანდელი ფესტოსის დისკოზე „კოლხური ოქროდამწვერლობით „ამოტვიფრული ქართული საგალობელი...“

**ნარგიზ გოგია** – ფილოლოგი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი: „... არა მარტო საქართველოს, დიდი ჩინეთის იმპერიასაც ეყოფოდა საამაყოდ ვაჟა ეგრისელის შემოქმედება (50 000ლექსი)...“

**გულიკო გოგიტიძე** – ფრანგული ენის პედაგოგი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი: „... მიხარია, რომ დიდი მოწონება ხვდა წილად საფრანგეთში ჩემი შვილის, ბაჩუკი ჩაბრაძის მიერ თარგმნილ ვაჟა ეგრისელის ბრწყინვალე პოეზიას. “

**მერი აბრამია** – მწერალი, პუბლიცისტი: „... ბედნიერი ვარ.

ისე, როგორც დიდმა ილიამ ვაჟა-ფშაველას პირველი ლექსი დაბეჭდა „ივერიაში,“ ასევე მე, ვაჟა ეგრისელის პირველი ლექსი დავსტამბე ხობის რაიონულ გაზეთ „სოციალიზმის მშენებელში...“



**საშა არჩაია** – მათემატიკოსი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი: „... ვაჟა ეგრისელის დიდი პოეტობა არაა გასაკვირი, რადგანაც ის დიდი ქართველი პოეტის ალიო მაშაშვილის დისწულია...”

**შოთა ხოჭავაძე-ეგრიპირელი** – პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი: „... როგორც ბერძნები ჰეროდოტეს ისტორიის მამას უწოდებენ, ასევე მე. ოთხმოცდაათს გადაცილებული – ჩემს და პოეზიის მამას ვეძახი – ვაჟა ეგრისელს...”

**მიხო მორჩილაძე** – მწერალი: „... მოსკოვში, ლიტერატურის ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, ვაჟა ეგრისელს, როგორც დიდ პოეტს და დიდ პიროვნებას უამრავი პატივისმცემელი და თაყვანისმცემელი ჰყავდა მსოფლიოს სხვადასხვა მწერლებს შორის...”

**ლევან მხეიძე** – პოეტი: „... მეხივითაა ვაჟა ეგრისელის კლასიკური ლექსები...”

**ჯემალ მსხილაძე** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელმა განავითარა და გაამდიდრა დიდი სულიერი წინაპრების: დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონ ტაბიძის მიერ დამკვიდრებული წარუვადი ტრადიციები. ...ეგრისელის შემოქმედება დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მრავალსაუკუნოვანი, ფუძემდებრივი და ძირდალოცვილი ქართული პოეზიის ისტორიაში...”



**აკაკი ნარგიზიშვილი** – პროფესორი, აკადემიკოსი:  
„... ეგრისელის ლექსები, როგორც მუხათა სიმფონია, ტრფიალია სიცოცხლისა, საგალობელია უკვდავების და ამქვეყნიური სამოთხისა. ისინი გვაყვარებენ სამყაროს „ძალითა მის ძლიერითა.“

მისი ლექსები პოეზიის შედევრებია...”

**აკაკი ნაროუშვილი** – ისტორიკოსი: „... როგორც მწერალმა ლევან სანიკიძემ (როგორც არავენ), გაამხატვრულა საქართველოს გმირული ისტორიული წარსული, ასევე ვაჟა ეგრისელმა პოეტური ფუნჯით „დახატა“ წინაპართა უკვდავი სახეები...”

**ნევენა ნიკოლოვა:** ბულგარეთი (პოეტი) „... როცა ვაჟა ეგრისელის წიგნს ავიღებ ხელში, ყოველთვის დიდი პეტრე იბერი მომაგონდება ხოლმე, რომელიც ქათქათა ტაძრებს აგებდა ღვთის სადიდებლად...”

ვაჟა ეგრისელი კი ღოცვისებურ ლექსებს აღუქლენს უფაღს უნეტარესად...”

**ლადო აღფენიძე** – მწერალი: „... მრავალგზის მითქვამს და ისევ ვიმეორებ: ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას კარგად არ ვიცნობდი თურმე. მისმა „კოლხურმა ფსალმუნებმა“ ხელისგულზე გადამიშალა უძველესი, პრეისტორიული კოლხეთი. გავეცანი არამარტო კოლხეთს, კოლხ ხალხს, არამედ მთელ კოლხურ მითოლოგიურ სამყაროს: „ჰიპერიონი, იაპეტი, (არა ნოეს იაფეტი), ატლანტი, ჰელიოსი, აიეტი, ფაეტონი, აქციუსი,



კირკე, პასიფაე, მედეა, აფსირტე. წარმართული მსოფ-  
ლიოს „ღვთის ენით“ – იეროგლიფებით დაწერილი ეგ-  
ვიპტური „მკვდართა წიგნი.“ ქართული (კოლხური),  
კვირბები“; „კოლხუაკანის“ მითოსური საწყისები, ას-  
ტრონომია, ასტროლოგია, ღვთისმეტყველება, კოლხე-  
თი, საბერძნეთი, ეგვიპტე, რომი, ფინიკია, ეტრურია,  
ატლანტიდა, ატლანტის მიღმა მაიას ტომი, დედამიწა,  
კოსმოსი, აი, ვაჟა ეგრისელის კოსმიური – „კოლხუ-  
რი ფსალმუნების“ მოკლე ბიოგრაფიული ჯაჭვი...”

ეს წავა მესამე ტომის უკანა გარეკანზე

**ჯემალ აფციაური** – ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი: „... ვაჟა ეგრისელის უდიდესი პოეზია – სა-  
ხისმეტყველებითი ე. წ. მეტაფორულენოვანი ენციკლო-  
პედიაა...”

**ეთერ არაბული** – ფილოლოგი, ლოგოფეტი: „...  
მწერლები და მეცნიერები ვაჟა ეგრისელს, სახელის –  
„ვაჟას“ გამო კი არ უნათესავენ დიდ ვაჟა-ფშაველას,  
არამედ ერთნაირი სულიერი და პოეტური სამყაროს-  
თვის. ვაჟა-ფშაველა, ლუკა რაზიკაშვილად რომ „დარ-  
ჩენილიყო,“ მაშინ აკადემიკოსი შალვა მჭედლიშვილი  
თავის მონაგრაფიაში: „ტრადიციულისა და ნოვატორუ-  
ლის გაგებისათვის ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში,“  
ასე დაწერდა: „ვაჟა ეგრისელი სახის მეტყველებაში  
ყველაზე მეტად ენათესაება მეტაფორის გვირგვინო-  
ვან მეფეს – ლუკა რაზიკაშვილს, ბრწყინვალე პოე-



ტებს – გრიგოლ ორბელიანს, გიორგი ლეონიძეს და რუს პოეტ – სერგეი ესენინს...”

**ჯულიეტა ახვლედიანი:** (მეც. მუშაკი) „... ვაჟა ეგრისელი უდიდესი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი...”

**შალვა ამინაშვილი** – მწერალი: „... ვაჟა ეგრისელის უნატიფესი და უმშვენიერესი კოლხური ფსალმუნები” მართლაც ლოცვასავეთ იკითხება... უიშვიათესი და უღამაზესი მეტაფორები გვხიბლავს და ლექსების დაზეპირების სურვილს გვკარნახობენ...”

**მერი ბადრიაშვილი** – პოეტი, ფლოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი: „... ვაჟა ეგრისელის ფენომენი შორს სცილდება ეროვნული არსის ჩარჩოებს და მსოფლიო მასშტაბებს იძენს. მის პოეტურ შემოქმედებას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს ვარსკვლავებივით მოკიაფე მეტაფორები, რომლებიც ავგაროზივით იცავენ ვაჟა ეგრისელის პოეზიის შეუაღლობას... ასე ქმნის ჩვენი ეროვნული ყოფისა და ხასიათის შარავანდედიან სურათს ვაჟა ეგრისელი – სახეობრივი ხატების ეს გასაოცარი მეუფე...”

**ედვარდ ბალაშოვი:** (რუსეთი) პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის ლირიკული ქმნილებები ეფუძნება კაცობრიობის სულიერ მონაპოვარს და სრულიად ახალი სიტყვაა მეტაფორულ აზროვნებაში, არა მარტო რუსულ და ევროპულ, არამედ, საეროდ მსოფლიო პოეზიაში...” 1985წ.



**ვეგენი ბარათაშვილი** – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელის პოეტური ქმნილებების სიღრმისეული წვდომისათვის, დიდი კი არა, დიდზე დიდი დროა საჭირო...”

**ზაზა ბაწელაშვილი** – საქართველოს სახალხო არტისტი, მწერალი: „... წარღვნა,” რომელიც ვაჟა ეგრისელის ლექსების მერეხივით მოვარდნამ გამოიწვია ქართულ პოეზიაში, არა წამლეკავი, არამედ ჩვენი ეროვნული სულის აღტყორცნაა ღვთიური სიმაღლეებისაკენ და მირონივით ეცხება საქართველოს მრავალგზის ნაიარევ გულს... ასეთი „წარღვნა” ნუ მოუშალოს ღმერთმა ქართულ პოეზიას...”

**ვერა ბეგუნი**: (უკრაინა) პოლიგრაფისტი. „... ვაჟა ეგრისელის უზარმაზარი წიგნით – „იქმენ ნათელი“-თ, საქართველომ და უკრაინამ კი არა, ლიტერატურულმა მსოფლიომ უნდა იამაყოს ”

**თამარ გაბოძე** – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელი თავისი უბრწყინვალესი „კოლხური ფსალმუნებით” არა მარტო კოლხეთის, არამედ ერთიანი საქართველოს მაფშაღიაა...”

**გივი გავარდაშვილი** – აკადემიკოსი: „... ეგრისელის მაგვარი სახისმეტყველება, არც მანმადე იცოდა და არც ახლა იცის მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა პოეზიამ...”

**ომარ ცხვარაძე** – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელის



ბიბლიური „კოლხური ფსალმუნები“ უდიდეს ცოდნას-  
თან და ღვთაებრივ ნიჭთანაა წილნაყარი...“

**ზუმრად გოდერძიშვილი** – პოეტი: „... საოცრად  
ხილმსხმოიარე ტოტივით ჩამოქანდება ხოლმე ეგრისე-  
ლის მცირე ზომის ლექსებიდან შედარებითა და მხატ-  
ვრული სახეებით დახუნძლული სტრიქონები...“

**ტარიელ მუმლაძე** – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისე-  
ლი – ქართული პოეზიის შავლეგოა...“

**ნათელა გოხელაშვილი** – მწერალი: „... ვაჟა ეგრი-  
სელი ოცდამეერთე საუკუნეში ანტიკური ხანის კოლ-  
ხეთიდან მოვიდა. სამყაროს აიეტის თვალით გადახე-  
და, ქართულ პოეზიას მედეასეული გრძნეული სული  
შთაბერა და უკვდავების გზას გაუყენა...“

**ვეგანი გუგულაშვილი** – პროფესორი: „... ეგრისე-  
ლის ვიზუალური ხედვა ერთ ფოკუსში ამწყვედევს  
სხვადასხვა პლანეტარულ განზომილებებს, მითოლო-  
გიას, ბიბლიას, ისტორიას და ჯადოსნური ჯოხის  
(სტრიქონის) ერთი დაქნევით აცოცხლებს მათ...“

**თეიმურაზ გუგუშაშვილი** – აკადემიკოსი: „... ძნელი  
დასაჯერებელია, რომ ვაჟა ეგრისელის ზოგიერთი  
ლექსი, მეოცე საუკუნეშია შექმნილი, ვინაიდან მის მე-  
ტაფიზიკურ აზროვნებას, მომავალი საუკუნეების გა-  
მაბრუნებელი სურნელი დაჰკრავს...“

**ვლადიმერ გულუა** – პროფესორი; „... ვაჟა ეგრისე-





ლი, როგორც პოეტი, მსოფლიოში (იაპონია, ინდოეთი, ესპანეთი, ჩინეთი, ბულგარეთი, რუსეთი და ა. შ.) უფრო ცნობილია, ვიდრე საქართველოში!“

**ვასილ გურგენიძე** – მხატვარი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის ლექსები – სამყაროსათვის აქამდის უცნობი ფერებითაა „დახატული...“

**პეტრე გრიგორიანი** – მუსიკოსი: „... მუსიკაში – მოცარტია ჩემი კუმირი... პოეზიაში – ვაჟა ეგრისელის ახალ სიომონაბერმა პოეტურმა აზროვნებამ დამატყვევა...“

**მაია დარჩია** – ფილოლოგი, ინგლისური ენის სპეციალისტი: „... ხალვადორ დალის ფერწერა და ვაჟა ეგრისელის პოეზია, წყლის წვეთებივით ჰგავნან ერთმანეთს...“

**გრიგოლ დევდარიანი** (იურისტი, პოეტი) „... ვაჟა ეგრისელის პოეზია – არა მხოლოდ ქართული, მსოფლიო სიფრცვა...“

**ბუღუ დეკანოსიძე** – პროფესორი: „... ეგრისელის პოეზია გვაჯადოებს აქამდე უცნობი თემებით, მოტივებით, სახეებით, თუმცა, არც ისე იოლია მათ არსში წვდომა...“

**გივი დემეტრაძე** – აკადემიკოსი: „... გერმანელმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა მეცხრამეტე საუკუნეში აღმოაჩინა ტროა. მე, როგორც გეოლოგმა, მეოცეში



აღმოვაჩინე – „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ხელთუქმნელ ტაძარში დადგმული ფასდაუდებელი განძი – „იქმენ ნათელი!“

**ოთარ დემეტრაშვილი** – მწერალი: „... ვაჟა ეგრისელის ლექსები ყურადღებას იქცევენ ფორმის სიმცირით, აზრის გლობალურობით და ღრმა ფილოსოფიური გააზრებით...“

**ვალერიან ზუხბაია** – აკადემიკოსი: „... ჩემთვის, როგორც გეოლოგისათვის ვაჟა ეგრისელის ძვირფასი ქვებით ვლვარე პოეზია დიდი აღმოჩენა იყო...“

**ტატა-დიოსკურელი** – მწერალი: „... მხოლოდ ვაჟა ეგრისელს შეეძლო დაეწერა უთვალავი (50 000) ლექსი, აქედან უმრავლესი ბუნებაზე, რადგან ბუნება მისი უშრეტო სულიერი წყაროა. ვაჟა-ფშაველას შემდეგ, საქართველოს რომ არ მოვლენოდა ვაჟა ეგრისელი, ასე მგონია ქართული პოეზიას არ ექნებოდა ის სიღიაღე...“

**მურთაზ ჯანჯღავა** – ისტორიკოსი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი: „... ვაჟა ეგრისელი ქართული პოეზიის ქურუმი...“

**ვახტანგ გაჩეჩილაძე** – ოფთალმოლოგი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტი და კაცობის ეტალონი...“

**თედო დუნდუა** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი ეპიკურად მოაზროვნე პოეტი. ამდენად, ქართული (და



არა მარტო ქართული) პრეისტორიული თუ ისტორიული სახეები: აიეტი, მედეა, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, მეფე გუბაზი, წათე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ცოტნე დადიანი და სხვ. მის დიდ პოეზიაში გრანდოზულადაა გამოკვეთილი...”

**გიორგი ვრამე** – ლიტერატორი: „... ისეთი პოეტები, როგორცაა ჰომეროსი, რუსთაველი, დანტე, გალაკტიონი, დროის საზომს არ ემორჩილებიან, რადგან ისინი ყოველგვარ რანგზე და ხარისხზე მაღლა დგანან. ასეა ვაჟა ეგრისელიც, ვინაიდან მასში სამყაროს მოდელია განსხეულებული...”

**ნათელა ვასაძე** – საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: „...ვაჟა ეგრისელის დიდი პოეზია თხემით-ტერფამდე ეროვნულია და... „წვეთი სისხლი არ არის მასში არა ქართული...”

**ბორის ვიქტოროვი**: (მოლდავეთი), პოეტი. „... ნიკო ფიროსმანის ნახატებმა და ვაჟა ეგრისელის ლექსებმა შემაყვარეს ჩემთვის უცნობი, ეგზოტ სანატრელი საქართველო...”

**სიმონ ზაქარაია** – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია – ეტნის ვულკანია, რომელიც უძველეს კოლხურ მიწაზეა ამოფრქვეული...”

**ალმანზორ თავაძე** – პოეტი: „... უაღრესად ვირტუოზი პოეტია ვაჟა ეგრისელი, რომელიც ხან წარსული-



დან მოდის და ხან მომავლიდან გვეწვევა...”

**შოთა თეთვაძე** – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელი „ლექსის მეწვერად” კი არა, ლექსის წარღვნად მოვევლინა სამყაროს...”

**შოთა თევდორაძე** – ჟურნალისტი: „... ვაჟა ეგრისელის „იქმენ ნათელი” – წიგნი გიგანტია, რომელშიც „ჯერ არნახული” პოეზია ბობოქრობს...”

**ნინო თოდუა** – აფხაზეთის ა/რ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი: „... ვინც მსოფლიო პოეზიის პიკს მიაღწია და იქიდან ქართული სიამაყით გადმოჰყურებს, ერთ-ერთი მათგანი უძველესი კოლხეთის ბრწყინვალე წარმომადგენელი პოეტი ვაჟა ეგრისელია...”

**სულხან იაშვილი** – აკადემიკოსი: „... კავკასიონზე და ამირანზე მიძღვნილი ვაჟა ეგრისელის ციური ცეცხლით მსუნთქავი ლექსები, ცოცხალი დასტურია ლეგენდის სინამდვილისა...”

**ნარიმან იაშაღაშვილი** (ნარო კოლხელი) მწერალი.

„... ვაჟა ეგრისელის პოეზიის უსამანო სიერცეში რომ მოხვდეს, ისე გაგიტაცებს, ვითარ ამურს ქერუბიმი, ზეცაში მოკიაფე ვარსვლაეთა შორის. მისი პოეზია ღვთაებრივია, ხოლო შთაგონების უძირო ზღვიდან ამოღებული სტრიქონები ასე გგონია – ფერწერული ტილოებია, რომლებიც წლების განმავლობაში შენ



გვერდით იხატებოდა და შენ არ იცოდი...”

**გიორგი იორდანაშვილი** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის პოზიის უაღრესად ორიგინალური სტილი, ლირიკის თავისებურება ჯერჯერობით უცხო და უჩვეულოა თანამედროვე მკითხველისათვის...”

**მარიკა კალანდაძე** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის ლექსების უჩვეულო არქიტექტონიკა და რთული ხატოვანება, ყველასათვის ადვილი ხელმისაწვდომი როდია. შეიძლება ეს იყოს მიზეზი, ჯერჯერობით მისი დიდ პოეტად არ აღიარების...”

**ბახტიუან კანაპიანოვი**: (უზბეკეთი) პოეტი. „... ვაჟა ეგრისელის კოლხ წინაპრეპზე დაწერილ; ბრწყინვალე „კოლხურმა ფსალმუნებმა”, მეც, ჩემი შორეული წინაპრები – საგები გამაცოცხლებინა...”

**გივი კილასონია** – პროფესორი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი: „... მე, როგორც მსოფლიო პოეზიის თაყვანისმცემელ პიროვნებას, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მრავალჯგუფის მითქვამს და კვლავ ვიმეორებ: ამჟამად დედამიწაზე არ დადის ვაჟა ეგრისელზე დიდი პოეტი...”

**ვიჩისლავ კუპრიანოვი**: (რუსეთი) პოეტი. „... პეიზაჟების ხატვაში, ვაჟა ეგრისელს მხოლოდ და მხოლოდ ნიკოლოზ რერიხს თუ შევადარებთ. პოეტის „კავკასიონი გაწოლილა ბნელში სფსინქსივით და ყინვის დამ-



ზრად ტორებს ილოკავს!” ამ „ნახატს” რერიხის „ჰიმა-  
ლაის მთების პეიზაჟები თუ შეედრება მხოლოდ...”

ეს უნდა წავიდეს წიგნის უკან გარეკანზე

**ნათელა მამარდაშვილი** – პოეტი: „...პონტოს ნაპი-  
რებზე გაზრდილი პოეტი – ვაჟა ეგრისელი პოსეიდო-  
ნიით ზღვათა მეუფეა...”

**ვალერიან მამუკელაშვილი** – მწერალი: „... ვაჟა ეგ-  
რისელის შემოქმედება – გაზაფხულის ენგურსა ჰგავს  
– აზვირთებულსა და ახმიანებულს...”

**რობერტ მელქაძე** – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისე-  
ლის წიგნი – „იქმენ ნათელი!” ხეოფსის პირამიდაა,  
ეგვიპტიდან საქართველოში „გადმოსახლებული...”

**ელგუჯა მერაბიშვილი** – მწერალი: „... ვარსკვლავი-  
ერი შუქითაა გაჩირაღდნებული ვაჟა ეგრისელის  
უზარმაზარი შემოქმედება...”

**ფრანსის მენდესი** – საფრანგეთი, პოეტი: „... ვაჟა  
ეგრისელის ლექსმა „შაშვის სიკვდილი,” სულის სიმ-  
შვიდე წამართვა. ამ ლექსმა აღფრედ დე ვინის  
„მგლის სიკვდილი” გამახსენა. ორმა პოეტმა, ერთმა  
შაშვის, ხოლო მეორემ მგლის თვალებიდან ამოიკითხა  
ადამიანთა სივერაგე და უღმერთობა...”

**ციალა მესხია** – აფხაზეთის მეცნიერებათა აკადე-  
მიის აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელი ქართული პოე-



ტური გენიის თავისებური და ორიგინალური გამოვლინებაა... იგი ერთი ცოცხალი სულია რომანტიკული საქართველოსი...”

**შოთა მისაბიშვილი** – აფხაზეთისა ა/რ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი: „...არაერთი აკადემიის აკადემიკოსმა, პოეტური სიტყვის დიდოსტატმა ვაჟა ეგრისელმა, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის გენიით შექმნილი პოეტური წალკოტი, საკუთარი ნიჭით გამოყვანილი სურნელოვანი ყვავილებით დაამშვენა და თავისი უბადლო ლირიკაში, როგორც მშობელი ერის, ისე კაცობრიობის არსებითად ყველა ძირითად სატიკივარს და საზრუნავს უპოვა ადგილი...”

ესეც უნდა წავიდეს წიგნის უკან გარეკანზე

**ოთარ მიქიაშვილი** – თსუ სოხუმის ფილიალის ქართული ენის კათედრის გამგე. აკადემიკოსი: „...მხატვრული აზროვნების მარგალიტები, ვაჟა ეგრისელის პოეზიას რომ ამშვენებენ, რამდენიმე თანამდროვე პოეტის შემოქმედება ეყოფოდა...”

**ტიტე მისია** – პროფესორი, პოეტი: „... ვაჟა ეგრისელი ქართულ ბიბლიაზე, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებზე, ქართულ ჰიმონგრაფიაზე აღზდილი შემოქმედია. ვაჟა ეგრისელის ტროპული მეტყველებიდან სწორუპოვარია მეტაფორული სტილი, შეიძლება ითქვას, მისი წიგნები მეტაფორებით დანადმულია. გაუზ-



ვიადებლად შეიძლება შევნიშნოთ, რომ რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ, საქართველოს არ ჰყოლია უფრო დიდი მეტაფორულენოვანი პოეტი, ვიდრე ვაჟა ეგრისელი. უფრო გასაკვირი ის არის, რომ მის პოეზიაში არსად შეიმჩნევა შოთას, ვაჟას და გალაკტიონის მეტაფორიკის კვალი, იმდენად წავიდა იგი დამოუკიდებელი გზით...”

**ელგუჯა ლებანიძე** – მწერალი: „...ვაჟა ეგრისელი მაგიური „კოლხური ფსალმუნების” მესაიდუმლე პოეტია...”

**გრიგოლ შარია** – აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე: „...მითიურ კოლხეთს სჭირდებოდა თავისი ორფეოსი და განგებამ, ვაჟა ეგრისელის სახით კიდევაც მოუვლინა...”

**ეკატერინე გოგიაშვილი** – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აადემია „ქალდეა-საქართველოს“ აკადემიკოსი – ...ბიბლიური ნათლის უსასრულობიდან, მითოსიდან, მისტიერების უფსკერო სიღრმიდან, კაცობრიული ისტორიის ხსოვნიდან და ფიქრმიუწდომელი სიშორის სიშორიდან იბადება ვაჟა ეგრისელის ლეგენდებითა და მითებით დახუნძლული პოეზია და სამყაროს უსამაზო სუფს ამაღლების კოსმოსამდე და ლოცვად აღავლენს ღმერთამდე...





\*\*\*

*"კოლხეთშია ქართული და  
მსოფლიო ცივილიზაციის სათავე."  
ლევან ხანიკიძე*

სანამდის ძეს ადამის –  
ღმერთი არ გაგვიწერება!  
მოცდაცა და მოთმენაც,  
საჭიროა იობის, –  
რომ კოლხეთით იწყება  
დილა კაცობრიობის,  
ჯერ ამაზე სამყაროს  
ძინავს...  
კვლავ ყურბალიშზე.

1968

## ბელურა

ჩემს ლაფაროსთან –  
    შიმშილსა და სიცივეს  
            კენკავს,  
არავინა ჰყავს იმედად გვერდით.  
შემოდგომაა...  
    წვიმს და ელავს...  
    თბილი ქვეყნისკენ  
    წასულა ყველა!!!  
და... მე მადარდებს ბელურას  
და პროეტის ბედი!

2014



\*\*\*

ცხოვრება –

კალათბურთის თამაშია,

სადაც ბრბო –

ფეხისწვერზეა შემდგარი.

სიცოცხლე?!  
წუთშესვენებაა

და... ეგ არი.

2015



## ერთი ვარსკვლავი

დედამიწაზე სიძულვილი დღესასწაულობს,  
სიყვარულისგან დედამიწა  
დაცარიელდა.

დარდი და ცრემლი აღარ ილევა...

და... მაინც,

სადღაც –

დასალიერთან,

ერთი ვარსკვლავი –

ძველებურად მელიმილება.

2014



\*\*\*

სანამდის მოვალთ,  
არყოფნას ჩვენსას,  
ზე-ცა გალობს და  
ვარსკვლავებს აკმევს,  
ელვის გაკრთომა მიაგავს ამინს!  
ჩვენ კი სიცოცხლეს  
ვადებთ, ვით სარკმელს,  
რომ თვალი მოვკრათ სამყაროს წამით.

2011



\*\*\*

მივიწყებულ ქალღევალთა  
საიდანღაც ისმის გლოვა...  
ისინი,  
ვით შუმერები,  
ისევ ისე მისტირიან:  
"მხედრულს",  
"მთავრულსა" და  
"მრგლოვანს".

1981



**ბილგამეში და ენქიდუ**

(ვარიანტი)

ძებნაში "უკვდავების" და  
"განჭაბუკების ბალახის",  
გილგამეშმა და  
ენქიდუმ,  
ცხრა ზღვა და მთა გადალახეს...  
და...

დღეს ხუთ-ათასწლეულის  
უსიერ ტყიდან კედრების,  
ვერპოვნით გულდაწყვეტილთა  
მომესმის ცივი ვედრება...

1979



\*\*\*

მზის კვერცხს ხელისგულზე გვიწვავს,  
ჩამოსული ცის კონცხით –  
მეტი რა ქნას დედამიწამ,  
მოსვლის დღიდან  
თავის შვილებს  
ფეხისგულებს გვიკოცნის...

2012





\*\*\*

ნიადაგ გიხმობს კოლხეთი,  
    პატარაა თუ  
                                    დიდია.

შენ!

მის გარეშე სამყარო,  
მარცხენა ფეხზე გკიდია!

1963



\*\*\*

საყელო მაღლა აწეულები –  
ჩაიქროლებენ  
ასწლეულები  
და შემოდგომებს შეცვლის ზამთარი...  
შენ!

საქართველო ქუდს სულ  
მოგიხდის  
და საღამს გეტყვის  
ფეხზე ამდგარი.

2015



## თობალი

ვინაც ქვეყნად პირველმა

ქვაზე ხმალი –

აღესა,

ეს იყო თობალი<sup>1</sup> –

ამბობს ეზიკიელი<sup>2</sup>,

ე. ი. მჭედელი –

„რკინისა და რვალისა.“

1983

1 – თობალი – ტაბალი – თუბალი – ქართველური ტომი

2 – ეზიკიელი – ებრაელი მემბტიანე

3 – "რკინისა და რვალისა" – შესაქმე (თავი IV, 22)



\*\*\*

ცაში უფლის სახილველად,  
მიუყვება ვერხვებს ვაზი...  
შორს –  
მთები და კორღებია.  
შენი ჩანგის ერთი სიმის შერხევაზე  
ბუმბერაზთა აჩრდილები  
გროვდებიან.

2010



კოლხური ნანა (ნანინა)

*ნანა დუმბაძეს*

ჰელიოსის ნაშიერს

დედა

რომ გიმღეროდა –

იმ ”კოლხურმა ნანინამ\*,“

მეცხრე ცაზე –

სიზიფეს ლოდი

აგატანინა.

2014

\*ნანა (ნანინა) – კოლხური პანთეონის ქალღვთაება



## სარგონი და აშურნა

პონტოს,

კაბადოკიას,

სარგონმა და აშურნამ,

მუსკების თუ

მესხების,

ბევრი სისხლი ასხურა...

ქალდეელებს,

მოსოხებს,

სიკვდილიც კი ასურვეს,

მის დასტურ ვჭკვრეტ კლდეებზე –

ბილიკებად დაკიდულ

მეფეთა ძველ წარწერებს,

ათასწლეულები რომ აკვანივით არწევენ...

და... დიდ გამარჯვებას რომ

უწონებენ ასურელთ.

1977

1,2 – ასურეთის მეფეები: სარგონი (722 – 708 ძვ. წ.),  
აშურნაირ-აბალი – ( 884 – 860 ძვ. წ.)

## სამი მუშკეტერი

სახეზე რომ ატყვიათ იარა,  
ბრალი არის არავისი,  
ეს იმუამინდელი –  
პათოსია.

შარისთავი გახლავთ არამისი,  
მონხუბარნი –  
ართოსი და პართოსია.

1969



\*\*\*

მზის უზარმაზარ გრდემლზე ნაჭელი –  
ცისა თუ ღამის  
გაიღო კარი,  
დაფრთხნენ მნათები უსახლკარონი.  
ღრუბელთა ზვირთებს მიაპობს  
მთვარე,  
ვითარც სტიქსეს –  
ნავი ქარონის.

1973





\*\*\*

ღამაზ ღღეებზე ფიქრებით დაღლილს,  
და ცისქვეშეთში –  
ღამეებნათევს,  
სანამ ღღეები ბნელში აგზელდეს,  
კვლავ დაარისხე ზარი,  
ვით მნათემ,  
დრო დადგა, ჩემო,  
უნდა ამზევდე!

2015



\*\*\*

ქარებმა მთები გადმოლახეს და  
ჭექა-ქუხილით –  
ზღვა გადაბელეს...  
და ახლა მთვარე გადმოგვეყურებს  
თვალით –  
მოწყალის.  
აღბათ სულ მალე,  
ისე,  
ვითა მიწას აბელი,  
ცას ვარსკვლავები სისხლით მორწყავენ.

1993



\*\*\*

წუთისოფელი ბევრჯერ გემცხეთა,  
თუმცა, სტუმრობდი ხშირად  
მეცხრე ცას,  
რადგან ის იყო შენი წარსული,  
სადაც და-ძმიდან  
რვავე წასულა,  
აღბათ სულ მალე წახვალ  
მეცხრეცა!\*

2015

\*ვაჟა ეგრისელი მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).



## რუსთაველის თუ შექსპირის

ვერ ვიხილეთ საქართველო –

ერთსული და

ერთპირი.

თუმცა, სიბრძნე თავს გვახსენებს,

რუსთაველის თუ

შექსპირის:

– აწმყოს კბილს ჭრის წარსულის

უმწიფარი ნაყოფი!

ვითარც მაშინ, იგივეა,

წამი ყოფნა –

არყოფნის.

2001



\*\*\*

ელვა სიშორეს ჩაიღიმილებს,

წველიად უფსკრულში

გადავარდნილი...

ქუხილი არა!

ღღე და ღამის ისმის კამათი,

რომლებსაც ზეცა –

წინ გაშლილი უდევთ ნარდივით,

და მზეს და მთვარეს აგორებენ,

როგორც კამათლებს.

1962



\*\*\*

ქაოსი და ბნელი იყო

ადრე...

ახლა ღამაზია...

რის ევროპა, რა აზია,

ყველამ იცის, მაგრამ მაინც,

ერთი-

ორი მომხრე მინდა:

რომ სამყაროს მზის ნათელი

მოეფინა –

კოლხეთიდან.

1969



\*\*\*

ჩავლილი ათასწლეულის  
ნაშობმა ასწლეულებმა  
პოეტის დავიწყებისთვის  
თავები უნდა იმართლონ!!!  
შენ კი მკვდრეთიდან –  
სალი კლდედ  
კვლავ უნდა წამოიმართო!

2015



\*\*\*

საქართველოს საღალატოდ  
სიხუმეში ჩამდგარ რიგებს  
კვლავ ჩამოსსნი ნიღაბებს,  
სანამ შენს ცას –  
არსთგამრიგე,  
სულ არ ჩამოგიღამებს!

2012





\*\*\*

ასურების ომის ცეცხლი –  
ზეცას წედება და  
ბობოქრობს...  
მეფეები ხალხს არცხვენენ  
და სტაცებენ თუბალო –  
ოქროს,  
ტაბალებს კი – "მაღალ ცხენებს".

1989



## მეფე თიგლათ-ჰილასარი

ერთმანეთზე აღარ სტოვებს –  
ქვასა და ქვის ფილასაც  
და მოსხების ისმის ოხვრა.

ერეკება ცხვარს და ძროხას  
მეფე –  
თიგლათ-ჰილასარ\*.

2003

\*თიგლათ ჰილასარ –ასურეთის მეფე (ძვ. წ. 110)



\*\*\*

გ-ს

ათი წლის მერე,

ახლა,

ამჯერად –

გეტყვი – მიყვარხარ!

შენ კი ტირიხარ...

და თვალებით ამბობ:

არ მჯერა!

1964



\*\*\*

მორჩა!

შენთან ვეღარ მოვლენ!  
უსაამანო დამეები,  
თუნდაც თეთრად გაათიონ...

შენ –

თავს გიკრავს საქართველო,  
ვით ვაჟას და  
გალაკტიონს.

2015



## გურულები და იმერლები

*"ეხლანდელი გურულები და იმერლები  
გაქართლელებულ მეგრელ-ლაზებად  
უნდა ჩავთვალოთ"*

*ივანე ჯავახიშვილი*

და დაჰყურებს ამრეხით –

იმ ეთნოსს და

იმ ერებს,

რომლებიც ფესვს ვერ ცნობენ!!!

კოლხებს,

მაგრამ "გაქართლელულ"

გურულებს და

იმერლებს.

1999

\* "ქართველი ერის ისტორია", გვ. 41, 1908 წ.



## ანდერძისმაგვარი

(აღიო მირცხულავა – მაშაშვილს)

ჩემი დიდი საქართველო,

როს მორჩება დარდს

და გლოვას

და სიხუმე იბატონებს...

ბიძახემო!

"დიღუბეში" შენთან მოვალ,

და... იქაც შენ მიპატრონე.

2015



\*\*\*

ოცდათორმეტი საუკუნეა  
რომ ბრწყინავს პონტოს  
სანაპიროზე

კოლხი მედეას მზის ათინათი,  
ჰელიოსის ცის მადლით მოსილი.

შენ "ოქრომრავალ  
კოლხეთს"  
მიართვი,

ქართული სიტყვის ზღვა  
და ოქსინო.

2013



**ებრი, მებრი, აია**

შოთრეული წარსულიდან

მოდის შენი

გვარ-ჯილაგი:

"ებრი",

"მებრი",

და "აია",

რომელთ უკვდავება შეენით

და ორივე არის შენი –

ებრისელიც,

დოღბ – აია-ც.

1986





## ორი ტალღა

ზღვა წარსულში მწოლიარე,  
კვლავ მაგონებს  
ჰომეროსის "ილიადას".  
და ტალღები თმებს რომ მხრებზე  
გადიშლიან:

ერთი –

მშვიდი ხობისწყალის  
შვილია და,

მეორე კი –

გიჟ ენგურის ბაღიშია.

1974



## ბათენება სოფლად


დაჰკრეს ტაში...

მერე, სოფლის ბოლოს,  
მამლებმა კვლავ აღიაქოთი მორთეს...  
რადგან იგრძნეს სიახლოვე  
დილის.

და... ადამი,

ვით სარცხვინელს  
ცა იფარავს მთვარეს –  
ღრუბლის ფოთლით.

1969



\*\*\*

ზღვა მუშტებს მიღერებს,  
ბორგავს და  
ბობოქრობს...  
აქ ყოველს გრიგალი ბატონობს...  
მე, ზღვას არ ვშორდები,  
ვით თოლია.

და...

ვიდაც მიჰკივის:

– შენ უპატრონო!!!

– პატრონი?!

ამ ქვეყნად არასდროს მყოლია.

1976



\*\*\*

ცით რომ ჩამოეშვა

დიდი რუსთაველი

და...

სადაც იშვა

ვაჟა და ილია,

იმ საქართველოსთვის სამყარო

ერთი მტკაველია.

1966



\*\*\*

ვით წინათ ოცი ათასწლეულის,

კვლავ

ისე ბრწყინავს ცის ამბიონი.

მის სახილველად რადგან მოხვედი,

შენში ბობოქრობს სული –

კოლხეთის.

"ესენგილათი"<sup>1</sup>,

"ქოგალეთი"<sup>2</sup> და

ბაბილონით.

1986

1 – "ესენგილა" – ღვთაება "მარდუქის<sup>3</sup>" მთავარი ტაძარი

2 – "ქოგალე" (მეგრ.) – შემოგველე – ასე ერქვა ბაბილონის გოდოლის მიწისქვეშა სართულს.

3 – "მარდუქი" (მეგრ.) – მე გზრდი



## ფსალმუნების ბალი

ისე,

ვით სემირამიდამ,

ქვეყნად მეცხრე საოცრებად,

ძველ "კოლხური ფსალმუნების"

უსამანო ბალი დარგე...

და ახარე,

ვით ოცნება –

მაშრიყიდან –

მადრიბამდე...

1994



## ოსეზ ქასქები

ნუთუ ჟამმა უყელა,

ავთვალამ და

ავსულმა?!

მე კელავ გულზე ვასკდები –

ნეტავი,

საით წასულან

მეგრულ-ჭანური ტომები –

ძღევამოსილი ქასქები\*?!

1979

---

\*ქასქები – წინახეთური, კოლხთა წინაპარი ტომები  
(XV – XII სს. ძვ. წ. აღ)



\*\*\*

ქარს მთელი ღამე ატატებული  
დაჰყავდა ზღვა და  
უაღერსებდა,  
მაგრამ ვერაფრით ვერ აწყენარებდა.  
მერე ძალ-ღონე  
როს შემოაკვდა  
და როცა დილაც მოდგა კარებთან,  
არ ახსოვს,  
ხელში ვით შემოაკვდა.

1967





\*\*\*

ვარსკვლავებიდან ჩამოსული,  
მეზავრობით დაღლილ-  
დაქანცული  
როცა უცაბედად წაიქცევი!  
წამს ხელს გამოგიწვდის  
მნათი –  
ქალწული  
და... საქართველოს ცად იქცევი.

2011



\*\*\*

ზღვა, ქარიშხლისგან მიტოვებული,  
ცოვ სიჩუმეში წევს  
არსეინად!  
აყვავებულია ზეცა ხრიოკი.  
და მიუყვები მოვარის  
ხეივანს,  
ცად ყოფნის სურვილს  
ვეღარ იოკებ.

2013



\*\*\*

ჩემს ღამაზ დღეებს –  
დვთისგან ბოძებულს,  
სანთელს ვუნთებდი,  
საკმელს ვუკმევდი...  
ახლა ცხოვრებას რომ მიძიმებენ.  
გადაუღვლავს ზეცას –  
გულ-მკერდი  
და უჩანს მნათთა ოქროს მძივები.

1972



\*\*\*

აქ დარჩენილებს  
ვაი და ვიში  
და ცრემლთა ნთხევა  
არრას არგებენ,  
როცა საწუთროს აუწყდები  
ოქროს ღიღივით  
და წუთისოფლის კრიაშულში  
ჩაიკარგები,  
მაშინ სახეზე დაგაკვდება  
მწარე ღიმილი.

2010



\*\*\*

გამთენიისას ღამემ მთოვარე,  
მამლის ყივილის ქვაზე  
აღესა.  
და აი, ახლა ზის და აბრტყელებს.  
დილაც მოვიდა,  
მზეს ეაღერსა  
და... მერე ხელში შემოაკვდა  
იგი ბარტყივით.

1969



\*\*\*

წუთისოფლის ცუდი გზები,  
მარტომარტო იარაღა...  
იმიტომ წერს მღვრიე ლექსებს,  
ქვეყნად სიკვდილს კი არაღა,  
ის სიცოცხლეს –  
აპროტესტებს.

2013



## დმანისიცი და აფრიკაც

ვაიმეცნიერები

კვლავ არიან აფრაკად,  
რადგან ველარ გაიგეს,  
რომ კოლხეთით<sup>1</sup> იწყება –  
დმანისიცი<sup>2</sup> და  
აფრიკაც<sup>3</sup>.

2008

<sup>1</sup> – კოლხეთი – ??? მლნ წლისაა.

<sup>2</sup> – დმანისი – 1,8 მლნ წლისაა.

<sup>3</sup> – აფრიკა – 2,5 მლნ წლისაა.



\*\*\*

ყომრალ საწუთროში მოსვლით  
ვინაც თვალი დაინამა,  
სიყვარულით მთა გააპო  
კლდოვანი.

ასევე შენ, ვით ინანა,  
დღისით მზე ხარ,  
ღამით მთვარე  
ქალი ორბუნოვანი.

2001





\*\*\*

ჩემი ბედი, დანისლული,  
თუკი მალე არ ამზევდა  
და კვლავ დარჩა,  
როგორც ქვაზი,  
მაშინ ისეთს დაიქუხებს,  
არ დარჩება მთა მთაზედ და,  
ლოდი ლოდზე  
და ქვა – ქვაზე.

2012



\*\*\*

არვინ უწყის, კოლხეთი  
რა ზღვა,  
რა კუნძულია,  
სად ნიადაგ დავეძებ  
მზის და მთვარის სათავეს,  
ცა კი – დანისლულია,  
მნათთა ოქროს თავთავით.

2007



\*\*\*

ისე, ვითა ტყუპისცალი,  
მზე და მთვარე,  
ცას აკვანში ჩუმად უწევს –  
მიწა ენას ჯერაც არ ძრავს.  
თუმც სამყარო აკვანს  
ურწევს –  
სიმწრით გაზრდილ თოთხმეტ\*  
და-ძმას.

1974

\*მსოფლიოში თოთხმეტი დამწერლობაა, მათ შორისაა ქართული.



\*\*\*

ჰელიოსის ნაშიერი,

ისევ ცისკენ იურვი,

რადგან მიწა არარაობს.

მთვარეს გიქნევს, ვით მარაოს,

ზეცა მშობლიური.

2015



## მუსკები და ტიბარები

პონტოსა და ქალდეაში,

არის ომები და

დავა –

მუსკების<sup>1</sup> და ტიბარების<sup>2</sup>...

ვხედავ ბრძოლით დაქანცულებს,

დავიწყების გზებით მავალს,

მშვიდობას რომ იბარებენ.

1979

---

<sup>1,2</sup> – მუსკები და ტიბარები – ქართველური ტომები  
(მეოთხე ათასწლეული)



\*\*\*

მიწის კი არა,

ცის შვილი,

მნათთა ფესვებში დაექებ –

დიდ წინაპართა ტოტემებს.

და ჭვრეტ შოთას და ჰომეროსს,

ვაჟას და არისტოტელეს.

1973



## ალბათ

თვალები ყველგან დაგეძებს,

ფეხები –

განგებ ფერხდება!

მაგრამ რა, ერთავ დედისავ!

მე კი ისეთი ბედის ვარ,

ალბათ...

იქაც არ შეგხვდება.

2010



\*\*\*

უფალმა მით შთაგაგონა –  
სიხარული ხენის და  
თესვის,  
შთამომავალს ნოესი  
რომ გსმენოდა ზესთა – ზესის  
ხმები –  
უსათნოესი.

2004





\*\*\*

ორი ათასწლეულია,  
რწმენისა და ღვთისმსახურნი,  
შეჰყურებენ, ვით არიელს\*,  
და დიდების დაფნით მოსვენ  
ძმებს:  
დიდ ბასილ კესარიელს,  
ასევე დიდ გრიგოლ ნოსელს.

1967

\* არიელი – პლანეტა, ურანოსის თანამგზავრი



## ზეციური ცეცხლი

ფრთებით ანგელოზების –  
ციდან ჩამოფრენილი,  
ისევ ცისკენ იურვი,  
რადგანაც იქ მიგელის –  
"ცეცხლი –  
ზეციური".

2007



\*\*\*

მნათები ღამის ფესვებია –

შორეულ წყვილადს რომ  
ანათებენ...

და ლოცვად მუხლმოყრილი  
ღვანან მთები.

შემოდგომით კი სიყვარულით ანანთები,  
ხეები მიწას გუფს უხსნიან –  
ფოთლების –  
ყვითელი ბარათებით.

1973



\*\*\*

მზე რომ მოდგება აღმოსავლეთით,  
დასავლით ფერი  
წაუვა მოვარეს.  
იელვებს წამი, ღიმილისმჩენი,  
დაქროლავს უცებ არყოფნის ქარი,  
ჭიანჭველების –  
"სასახლეს" ჰგავს  
ცხოვრება ჩვენი.

2003



\*\*\*

ზღვისკარად მღვარ თუთარჩელას  
მოუშვია მნათთა წვერი...  
ღამე ახლა იცვამს თეთრებს,  
ადრე ტანთ რომ შავი ეცვა.  
შენ კი ელვით ნახსაპნ ზეცას  
კითხულობ, ვით  
"სადვთო წერილს".

1978



\*\*\*

ზღვის და ქარიშხლის ნაშიერს,  
სულ ბედისწერა დაგდეკდა,  
მაცთური და თან მზაკვარი,  
მაგრამ ტაძრისკენ მიმავალს,  
ათას ქარსა და  
ქაოსში,  
არ აგრეგია გზა-კვალი.

2010



## სერაფიმი როუზის

ყოველ ბილწოვან განწმენდილებს  
რწმენა ღმერთად რომ უზით, –  
სანთლებს ვუნთებ  
წმინდა მამებს:  
დიდ ექვთიმეს,  
იოანეს და გიორგის,  
სერაფიმი როუზის\*.

1972

---

\* როუზი – ამერიკელი მართლმადიდებელი, ხელოვნების  
დოქტორი



\*\*\*

გიყვარდეს შენი სამშობლო,  
ამას გულისთქმა გაკისრებს,  
რადგან, როცა არ იქნები,  
მთები,  
ვით ვაჟა-ფშაველას,  
ზღვები –  
შენ მოგისაკლისებს!

2015





## ხორვა

ჩემი ხორვა სოფელია –

"იების<sup>1</sup>" და

"აიების<sup>2</sup>"...

და წითელი კრამიტებით

დახურული ოღები კი,

შარავზიდან ისე ჩანან –

თითქოს მზეს მიფიცხებია –

ჯარი ჭიამაიების.

1964

---

1,2,3 – "შელ-"იები", ბერ-"იები", დოღბ-"აიები", ბერ  
–"აიები". "აია" – პრესტორიული კოლხეთი



\*\*\*

ახლა არავის უკვირს  
მთვარე –  
ხომალდი კუკის,  
სერავს ცის ოკეანეს...  
უფალმა ინება თუკი,  
სამოთხის გაიღება კარი.  
ანგელოზები მნათთა  
დარეკენ უხმო ზარებს.

2002



**ხილი**

ადამის ძის ცხოვრება,  
სიკვდილ-სიცოცხლეს შორის,  
გადებული ხილია,  
სადაც ყოფნა-არყოფნის  
ჩქარი მატარებლები  
გადადიან ხმაურით,  
მოდიან და მიდიან...

2011



\*\*\*

უნდოდათ შენი ცხოვრების  
დაჭრა სულ ნაწილ-ნაწილად  
და კერძად ქცევა ყვაეების!  
სულ გეშინოდა სიცოცხლის  
შუა გზაზე შემოღამების,  
მაგრამ...  
ბედმა არ გაგწირა  
და არც წყალობამ სამების.

2011



\*\*\*

უფალს ვთხოვ, რომ შემარკინოს  
სიკვდილს,  
ყოვლისმძღეს და  
უუნაროს!  
ისე, ვით ზევსი<sup>1</sup>– მამა კრონოსს<sup>2</sup>,  
კრონოსი კი  
მამა-ურანოსს<sup>3</sup>.

1999

1 – ზევსი – უზენაესი ღვთაება, ღმერთებისა და ადამიანების მამა და მუუფე.

2 – კრონოსი ზევსის მამა, ტიტანი, გეას (მიწის ღმერთის) შვილი

3 – ურანოსი – ცის ღმერთი, ტახტიდან ჩამოაგდო შვილმა – კრონოსმა



\*\*\*

საწუთრო სურათს გიღებდა  
პროფილითა და  
ანფასით  
და ცაზე მნათად ჰკიდებდა  
ერთი და ორი კი არა,  
ღეთის მონა ასჯერ ათასი.  
მაშინ სხვა იყო...  
სიცოცხლეს,  
სხვა წონა ჰქონდა,  
სხვა ფასი.

2006



**ვიტარც მოსეს “ხუთწიგნეულს”**

ხუთი წიგნი "ფსალმუნების" –  
ბოროტებით დაავდებულთ,  
მწამს,  
განკურნავს ყველა  
სნეულს,  
რადგან ამის შესწევს ძალა,  
ვიტარც მოსეს –  
"ხუთწიგნეულს"\*.

2005

---

\*ხუთწიგნეული – იგულისხმება ვაჟა ეგრისელის – 2002-2012 წლებში გამოცემული ათასზე და ათიათასზე მეტგვერდიანი ტიტანური ტომები.



## რუსი-ურბნისი

უცებ თვალს ახელს –  
  სსოვნა დავითის,  
აგერ ურბნისი,  
  აგერ რუსი.  
ირგვლივ ვარდისფრად ჰყვავის  
  ბუნება...  
და გზისპირას კი, ვით საჭურისი,  
ქარი აღვის ხეს –  
  ებლარძუნება.

1999





\*\*\*

მირიადი წლის უღრანში  
დავეხეტები სიზმრად,  
და ვარ აქაც და  
იქაც.

მიტომ ჩემს წიგნში თვალს ახელს  
დინოზავრიც და...

ქინქლაც.

2010



## სამებრელოს მეოთხე დაჯიშვრა

...ეს ლექსი კი არა,  
არის პოემა,  
რომელსაც წარდგნის შიშით ვამთავრებ:  
– ნუთუ დღეს აღარ  
მოიპოვება,  
"სოდომ-გომორში" კი არადა  
საქართველოში,  
"50 კაცი მართალი".

1999



\*\*\*

"კაფე-თესეს" – ხმობს გუგული,  
ჟამი არის ხვნის და თესვის...  
და ტყისპირას,  
დოფაჩილთან<sup>1</sup>,  
სად ტოტები ყრია ნორჩი,  
ტკბილი კვნესის ხმა მომესმის –  
ტყაშიმაფას<sup>2</sup> და  
ოჩოკონის<sup>3</sup>.

1967

1 – დოფაჩილი – ადგილი (დედე) სამეგრელოში

2 – ტყაშიმაფა (მეგრ.) – ტყის დედოფალი

3 – ოჩოკონი (მეგრ.) – ტყის კაცი, ტყის მეფე



\*\*\*

სამი ათასწლეულია –

მითებით და

ლეგენდებით

რომ უცვლიან მათ სამოსელს:

მაინც "ქალდეველად" რჩება –

ნოეც,

აბრამიც და

მოსეც.

1974



\*\*\*

მიიქარიან სადღაც ღრუბლები...  
და მოწყენილი მთვარე  
ირიდებს,  
შორს,  
ღამის იქით –  
დასალიერში –  
ვარსკვლავების ოქროს ძაფით ნაქსოვ  
ცის რიდეს.

1986



\*\*\*

მახათას მთა და მთაწმინდა –  
ჩემი თბილისის მხრები არის,  
მოუჩანთ ნაჭდევი მთებს  
იარის.

არც ნასის ხმა ისმის და არც  
ნაღარის.

არაგველთა დაღვრილი სისხლია  
თუ  
ყაყაჩოთა მოვარდნილი  
ნიაღვარი?!

1964



## ბარათაშვილი

თუ დააშავა ამქვეყნად მოსვლით,  
უფალი განსჯის  
აღბათ იმასაც,  
თუ რად იქცა სამარედ მგოსნის  
ქართული არა,  
უცხო მიწა –  
შორეულ განჯის.

1973



\*\*\*

ორი პატარა ღრუბელი,  
როგორც რომა და  
რომული,  
ვერ ირჩენს მითის იარებს.  
შევცქერი ცას –  
მშობიარეს,  
ელვა ტკივილად რომ უვლის.

1972





## ბოლგოთა

ჯვარს აცვეს...

უცებ იელვა...

და მეხთა-ტეხამ ღრუბლები

წყვდიადში არივ-დარია...

დღეებმა აქ ღამეები –

ცრემლის წვიმაში ათიეს...

ვჭკვრებ:

მართასა და მარიამს,

იოსებ არიმათიელს\*.

1978

\* არიმათიელი, რომელმაც ჯვარცმული მაცხოვარი გარდამოსხნა და სამარხში დაასვენა



\*\*\*

მამლის ყივილების ბაწრით,  
სანამ ჩემი სოფლის ბოლოს  
გაიღება დილის კარი,  
მანამ ღამე მზეს დაეკებს  
მოყვითალო მთვარის –  
ფარნით.

1987



## გვალვა

ძირს ვდია მიწა –

ბვალი და ტყავი,

ეს არ ადარდებს ფაზისს და

ნილოსს...

და ცამ რადა ქნას,

არა აქვს ცრემლი,

მშობელი მიწა

რომ დაიტეოს.

2006



## საყდრისი

ეს გორა კი არა,

წარსულია,

იდუმალების ოქროთი გაძეპგილი

და ათასწლეულების ოქროს ბაწრით,

წინაპართა მიერ თავშეკრული!

ეს ხმებიც, ვითარცა

"კოლხური კულტურის"

უკვალოდ გაქრობის საწყისია!!!

ეს გორა კი არა,

საქართველოა "ბედკრული",

ჩალის ფასად გაყიდული

"საყდრისია".

2014



\*\*\*

ადიდებულა მტრობის მდინარე  
და წაულია ძმობის ყველა  
ბოგა და ხიდი,  
დრო, ვით ენგური, მიდის და მიდის,  
და სიძულვილის თარეშობს ქარი.  
მთვარე მოწყენით  
დასცქერს აფხაზეთს,  
ვითარც სული ქვადქცეული,  
თარაშ ემხვარის.

1993



\*\*\*

მესთა-ტეხით და წვიმებით სავსე,  
გაუზიდათ ღრუბლები ურმით,  
ქარებს და...  
ელვას ფრთას ატოლებენ,  
გამთენისას წვევია თურმე  
ცას (ვარსკვლავები) –  
წითელი ბატონები.

1973



\*\*\*

აღარ გშორდება და დაგყურებს  
თვალი მოწყალის.  
დღითი-დღე მიხვალთ თქვენ  
ერთმანეთთან.

დიდო პოეტო!  
მარად ცოცხალი  
და უკვდავი –  
შენ ხარ პლანეტა.

2001



\*\*\*

ომების ცეცხლით გადანისლული,  
კვლავ გადმოგყურებს  
კოლხთა ცა – მყარი.  
ისე, ვითარცა შორეული მისი  
წარსული.  
პირველყოფილი შენ ხარ სამყარო,  
უსამანო და  
უსასრულო...

2001





\*\*\*

ვიცი,

შენთან ყოფნით დაღლი –  
სიხარულს და  
ნეტარებას.

სანამ "ის", ვით ავი ძაღლი,  
წუთისოფლის გზაზე მავალს –  
აღარ წამოგეპარება.

2014



## კორიდა

ცხოვრება თურმე

ყოფილა კორიდა:

მიწას მივაბარე –

ექვსი ძმა...

ორი და...

კორიდა!

2013



\*\*\*

გილგამეშივით "განჭაბუკების  
ბალახის" პონის  
უინი მოგივლის,  
შორით მოსული და უეცარი.  
ხარ ქალდეველი  
და შენ მოგვივით  
კოლხურ ცას ჩხიბავ,  
როგორც მენცარი.\*

2006

\*მენცარი (მეგრ.) – წინასწარმეტყველი



\*\*\*

კვლავ გამოჰყო ელვამ ენა,  
ზეცის პირში შენაყოფი,  
სადღაც მეხმა დაიქუსა  
და ხართუთას, იგივე ბუოლას,  
ჩამოსუნძლულს –  
შავ-ნაყოფით,  
ტანში შავად გააჟროლა.

1969



\*\*\*

ქარიშხლის რაშზე ამხედრებული,  
დასავლით იძვრის მთვარის  
გლეტჩერი\*  
და მისდევს ელვის ნათება ბეცი.  
მიწა დილამდე უხმოდ შესცქერის –  
ვარსკვლავების ნაკვრჩხლებით  
ტანდამწვარ ზეცას.

2011

\*გლეტჩერი (გერმ.) – ყინულის მთა



\*\*\*

ასწლეულები ხელთ უპყრიათ –  
მთვარის ნოტივით  
და პოეზიის შარა-გზაზე  
მიაბოტებენ –  
გარსია ლორკა,  
ტაკუ – ბოკუ,  
ხრისტო ბოტევი.

1976



\*\*\*

შორეთიდან მოფრენილი –  
    მითები და  
            ლეგენდები,  
კვლავ კოლხური მთვართ ვარცხნის: –  
ფაზისსა და "კუტაიას",  
    პალიასტომს და  
    "ტობა-ვარჩხილს"\*

1964

---

\*ტობა-ვარჩხილი (მეგურ) – ვერცხლის ტბა (მთიან  
სამეგრელოში)



\*\*\*

ლოცვა-ვედრებად მაღლა ასული,  
შენთვის ჰყვავიან ცაში იები,  
მნათებს ისხამენ ყელზე  
მძივებად.

ზოგჯერ თუ ჩამთვლემს,  
მეპატიება,  
ერთპირი წყალსაც ჩაეძინება.

2001





## კოლხური ანბანი

*"მაიას ანბანის" წინა სახეა – "კოლხური  
ანბანი". დიეგო დე ლანდა  
/პირველი ქრისტიანი ფრანგი ეპისკოპოსი/*

ცად ვჭკერეტ: ათასწლეულთა

ნიაღვარში –

განბანილს

მნათებს –

ასლებს "მაიას"

და "კოლხური ანბანის".

1971



\*\*\*

ცა იყურება მთვარის სარკეში  
და საქორწინოდ ისევ  
ერთვება...

ზღვას –

მნათნი ღამის ჩოხას აცმევენ  
და...

ქარიშხლებით მთურალი  
ზვირთები

სანაპიროზე დაბარბაცებენ...

1974



\*\*\*

იდუმალებით გადახურული –  
ათასწლეულთა იღება კარი,  
სად ქალღვევლნი თესდნენ  
და მკიდნენ...  
და სადაც ღამით –  
შენ კოლხურ მთვარეს,  
უჩარხო ცის კედელზე  
კიდებ.

1981



\*\*\*

ვაჟა!

ვაჟა! –

დღე-ნიადაგ ვილაც მეძახის

და გრძნობ შორიდან

მიცქერის იჭვით.

ნეტავ ვინ არი?!

მიედინება ენგურივით ჟამთა მდინარე,

შენ კი თევზაობ და...

დღეებს იჭერ!

2011



\*\*\*

ნუ შეგაკრთობს, ქართველო! –  
    შიში მარადიული –  
            სიკვდილის და სიბერის,  
სანამ შენში ბობოქრობს  
სული –  
            პეტრე იბერის.


2003



## ხევისურეთში

"შენ ხარ კოლხი პირველი",  
რომელმაც ჯვარი  
გუდანის,  
"მირონი უსადირსლა" და  
ხმალი ცრემლებში აღესა,  
"დიდება დიდ კვირაესა  
ღვთის კარზე მოკარავესა".

1969



\*\*\*

ბეთლემსა და ქაანანს  
ათასეულ წლით ადრე  
შარავანდით მოსავდნენ,  
ვით მამის-ძის სუფევას, –  
ქრისტეს,  
ქვეყნად მოსვლამდე.

1969



## ნაკოლეონ ბონაპარტი

მათ იციან,

მაგრამ მაინც,

მუხას არა,

რკოს იკვლევენ,

მაგრამ ვეღარ ასკვნიან,

რომ "მოფრანგო" კორსიკელი,

ქართველია!

ანუ კოლხი – ბასკია.

1966





\*\*\*

ვაჟავ! –  
შენი სახელი,  
ჰგაედა ბომბის გასროლას  
და ბნელ ღამეს ეღვიანს...  
ახლა გამოიღარა...  
და მთიები გელიან,  
როგორც პოეტ –  
ასტროლატრს\*.

1993

\* ასტროლატრია – (ბერძ.) – ვარსკვლავების  
თაყვანისცემა



## ბედის ბელაური

საიდანღაც,

შორეთიდან,

ისმის ცივი ჭიხვინი

და ფლოქვების ხმაური,

ეს შენსკენ ქრის,

შენივე –

"ბედის ბელაური".

2014



\*\*\*

ასი ათას კოსმიურ ცეცხლის ალში  
განბანილ –  
"ოქროს საწმისს" – წარსულში  
მღერის მწირი...  
მიმოყრილა მთიებად –  
ცად ქართული ანბანი,  
"ქართულითა ენითა უამი  
შეიწირვის".

1972



\*\*\*

ის ღვთისშვილია,  
და ის არის "ანი და პოე"!  
ამაზე მეტი –  
ცით მოვლენილს,  
რა უნდა პოეტს?!

1970



\*\*\*

ქართველები ოქროს ჯვარს  
ოქსინოთი მოსავდნენ  
და ბაძავდნენ წინაპრებს.

ქრისტეანი ვიყავით  
ათასეულ წლით ადრე,  
ჩვენში ქრისტეს\*  
მოსვლამდე!

1972

---

\*ქართველებმა (შუმერებმა) – ბიბლიის მიხედვით,  
ათასწლეულებით ადრე იწინასწარმეტყველეს ქრისტეს  
სამყაროში განსხეულება და მოსვლა



\*\*\*

ღ. ჩ.-ს

ამ წუთისოფლად კაცურ-კაცობის  
ძნელი ყოფილა წევა უღლისა,  
რომ აღარ მოგწვედეს  
უამთა დეზები.

და თუ ოდესმე დამცდენია ქება  
უღირსთა,

მე,

ჩემი მრევლი მაპატიებს  
ნათქვამს ყელსზევით.

2011



\*\*\*

მათ იციან,

ორფეოსმა

კალამი ვის უკურთხა

და "კოლხური ფსალმუნები"

იმიტომაც მოაგონებთ –

კოლხურ ოდის ჩუქურთმას.

1994



\*\*\*

ზოგ-ზოგთა ლექსებს და პოემებს  
აზრი რომ აჯღა-  
ბაჯღად სდის...  
და მაინც აკვანში არწევენ...  
მათი "ოქროს კალმებით"  
ნაჯღაბნი  
რით ჯობს ბატის ფრთით  
დაწერილს?!

2012





## ოსეზ კორიდა

ეს ცხოვრება არის თურმე  
სისხლისმღვრელი კორიდა.  
ამ ბრძოლებში დაცემულა –  
ვაჟავ, შენი  
ექვსი ძმა და  
ორი და!!!  
კორიდა!

2013



\*\*\*

მზე მიჯადოქრობს აღსავლით...  
და სიხარულის ცას ასდის  
აღმური,  
იქ შენი გულისთქმა ღამეებს ათევედა...  
ღვთის სადიდებლად –  
აღაველენ "ფსალმუნებს",  
რომ "გაიხარონ ყოველთა ქართველთა".

2006



**სამცხე-საათაბაგოს**

წარსულიდან მოისმის  
ცივი ხმები  
მოლების.  
და მე, ღამის დამდაგოს –  
უღირს შვილთა მოვლენამ –  
სამცხე-საათაბაგოს.

2012



## დაღუსტანში

ბილიკები ნახმლებივით –  
არ ატყვია მთათა ერდოს  
და არც ლეკთა ჩანს  
აული.

ჩვენს ხსოვნასაც  
აღბათ ერთ დროს,  
ეკალ-ბარდი გადაუვლის.

2001



\*\*\*

სიყვარულით გადახურულ –  
ჩემი ყოფნის  
ღამაზ ცაზე,  
სულ სიმღერა-ღიღინია...  
ჩემი ბედის ვარსკვლავები –  
ახლოს მოსვლას  
ვერ ბედავენ  
და შორიდან მიღიმიან...

2014



\*\*\*

მირიადების დგას ღრიანცველი...

აჰა – ჩინეთი,

ჰა – ინდოეთი...

გადაფრენილან თბილი ქვეყნისკენ  
და მგალობელი...

არ ჩანს პოეტი.

2013



## ორფეოს და მეფისტოფელს

საიდანღაც ისმის ხმები:

პოეტი ხარ შენ მზის დარი,  
უნდა არგო მეტი სოფელს –  
ცის სარკეში ვჭკვრეტ პინდარეს,  
ორფეოსს და  
მეფისტოფელს.

2003



\*\*\*

ფიქრი ათასწლეულთა,  
კვლავ აფენდა მთებს ნისლებს,  
ცა-ბუნებამ შვა ნელა,  
მერე ჩუმად უბოძა –  
"მთის ორდენი" – ფშაველას,  
და "ზღვისა" კი –  
ეგრისელს.

2001





კოლხი – 5 200

კოლხი\* ქალაქის მერე  
აშენებდა ბაბილონს,  
უფლის ნახვის იმედით:  
ზე-ცის კაცი ან მარე,  
მეფე – კოლხეთ-  
ქიმეთის.

1977

\* კოლხი (კოლხა) ქალაქი მესოპოტამიაში (მეხუთე ათასწლეულები)



\*\*\*

ველარ აკრობს ქარიშხლის

ქროლვაც,

წვიმაც,

თოშიცა –

ვჭკრეტ დედის ლანდს –

მუხლმოყრილს,

ხატთან –

წმინდა გიორგის –

მლოცველსა და მოშიშარს.

1967



\*\*\*

სახეტიალოდ სულო!

ზეცა აღარ იკმარე,

და აი, ახლა,

სიახლოვეს აღარ იკმარებ,

სიკვდილზე ფიქრს და...

მის ცრემლიან –

ნაბილიკარებს.

1986



\*\*\*

მონა ხარ უფლის და ნამუსის,

გაცხრობენ,

მაგრამ შენ არ ცხრები,

თუმც გადევს ჯაჭვი და ხუნდები.

შენ იცვამ სიკეთის –

სამოსელს,

რომელიც არასდროს არ ცვდება,

რომელიც არასდროს ხუნდება.

2001



## მაგური

მიღმა ათასწლეულთა –  
ისმის ბრბოთა ყაყანი,  
ბაბილონის შერევნას –  
უფლის მოსახილველად –  
ემატება აგური,  
მთვარის ღმერთი სინი კი  
ცას მიაპობს მაგურით\*.

1982

---

\* მაგური – (შუმ.) – ხომალდი



\*\*\*

ქარები, ღრუბლებისგან განსხვავებით,  
ეტრფიან ზღვას –  
ხეაფიანს და ბარაქიანს.  
ცა – დასახლებული ვარსკვლავებით,  
ჩემი ოცნების –  
ქალაქია.

2000



\*\*\*

დალილ ათასწლეულებს,  
ვიცი, გაინაპირებ!  
ვითარც კოლხი ჰეფესტო,  
რადგან „შებმას“ –  
აპირებ,  
პოეტების მეფესთან.

2009



**ხილვა: მამა-შვილი – იოანე და  
ექვთიმე მთაწმინდელები**

კვლავაც მწყალობს ღმერთი მე,  
ქრისტეს რწმენის დამწინდველს,  
და ვჭვრეტ: მთაზე ულუმბოს,  
ვით მიჰყავს ყრმა ექვთიმე,  
იოანე მთაწმინდელს.

1974





\*\*\*

ისე,

ვითარცა ოპიზარებმა,

ქართული სიტყვა ოქროდ

მოკვერეს –

მერჩულეებმა<sup>1</sup> და ხანძთელებმა<sup>2</sup>,

შენ კი...

რა გრჩება? –

ორი ბოკვერი,

ორიოდ ლექსი – დღის გაგრძელებად.

1978

1 – გიორგი მერჩულე (X ს.)

2 – გრიგოლ ხანძთელი – (VIII ს.)



\*\*\*

წვიმაა თუ ქარია,  
ნათელი თუ ბინდია,  
სიკვდილი და სიცოცხლე,  
ვით მიქელ და გაბრიელი,  
ისევ ერთად მიდიან...

2001



\*\*\*

მეცხრე არა,

მეცამეტე

ციდან უფლის ხმები ისმის:

– მე კი არა,

სიკვდილისგან,

ამაქვეყნად ვინმემ გიხსნას, –

პირველს –

"კოლხურ ფსალმუნს"

ძალუძს,

და მეორეს – ვარსკვლავს ისნის.

1993



\*\*\*

საიდანღაც შორეული –  
იმდაგვარი ხმები ისმის,  
მოკვდავთ თავზე ზარს  
რომ სცემენ:  
– ბედი გელით საზარელი,  
ისე, როგორც –  
იოანე ნათლისმცემელს  
და იესო ნაზარეველს!

1993



**ბუბაზ მეფის მკვლელობა**

(554 წ.)

ბიზანტია თუ სპარსეთი?!

გამოტანილ ამ დიდ

ვერდიქტს\*,

მზის ბეჭედი ისევ აზის,

აიეტის კი არა და,

გონს და ჭკუას

ბრძენ ფარტაზის.

1964

---

\* ვერდიქტი – (ინგლ. ფრანგ.) – განაჩენი, გადაწყვეტილება



## ღ ა ჩ ი

ნუ შეგაშინებს შური, მტრობა  
და უამთა კრთომა:

მთიები –

შენზე ლოცვებია ცაში  
ასული.

ვით ვახტანგ მეფემ და ქემ მისმა  
ღაჩიმ,

თბილისი!..

შვილო,

"კოლხური ფსალმუნები" –

ასზე მეტ ტომად,

მე დავიწყე და... შენ დაასრულე!

2014



\*\*\*

შენ დღეები მზით გმოსავენ  
და სხვებმა კი სდიონ  
ღამეს, –  
ჩანან მთვარით თელილი...  
უგალობ სამ იოანეს,  
აბუსერიძე ტბელივით\*.

1963

---

\* ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (1190 – 1240)



## ექვსი, სამი, ერთი

ექვსია,

და მაინც ერთია,

ერთმანეთს სიყვარულით

ერთვიან

და ერთად ივლიან:

კუპიდონი<sup>1</sup>,

ყოროფა<sup>2</sup>,

ამური<sup>3</sup>,

ეროსი<sup>4</sup>, აგაპე<sup>5</sup>, ფილია<sup>6</sup>.

1966

1,2,3 – სიყვარულის სამი – ერთსახეობა

4,5,6 – სიყვარულის სამი – ერთსახეობა





\*\*\*

სადღაც,

ათასწლეულიდან,

ჩხრიალი კვლავ მესმის

ვერცხლის

და ირხევი, ვით ღერწამი.

ნათლული ხარ წყლით და

ცეცხლით,

რომ იტანჯო და ეწამო...

2013



\*\*\*

ქართულ სიტყვის მებაღური  
და ვითარცა მონადირე,  
ვარსკვლავეთის გზას მიჰყვები  
და გზადაგზა ინადირებ –  
ოქროს თევზს და  
ოქროს ირემს.

2008



\*\*\*

სინათლესა და სითბოს ჩვეულმა,  
მიწის სიცივე ვეღარ  
იწამა!  
არყოფნის ტანჯვა ნისლად  
ებურვის.  
საფლავის ბორცვზე რომ ამოდის  
ჩუმად,  
სიმწვანედ,  
ბალახი არა,  
სული არის მიცვალებულის.

2010



\*\*\*

მომლოდინე ცის თაღზე  
სული თუ არ გაფრინდა,  
გულმა არ მიღალატა  
და არყოფნას გავუსხლტი,  
მაშინ,  
"კოლხურ ფსალმუნებს",  
ვით ჩემს "მაჰაბჰარატას"<sup>1</sup>  
სულს ჩავუდგამ ფაუსტის<sup>2</sup>.

2014

1 – "მაჰაბჰარატა" (სანსკრიტ.) – ძველი ინდური ეპოსი  
2 – "ფაუსტი" (გერმ.) – გერმანული ლეგენდის გმირი –  
სწავლული



\*\*\*

(ვარიანტი)

იყო გოლგოთა...

ახლა ელი ცად ამადლებას,  
მადლს წირავ უფალს,  
როგორც იობი

(თუმც თოხი გიკავია ოყიანი).

ღაე,

გაიგოს კაცობრიობამ,  
შენ,

ზღვა კი არა,

ხარ ოკეანე.

2015



\*\*\*

ხობისწყალს და პარას ჭაღას  
უშენობა,  
მწამს, გამსჭვალავს,  
ისე, როგორც ფშავის არავს,  
მასთან ერთად ღულის ჭაღას,  
რადგან მადლი  
დრო-უამს არ აქვს!!!

1979



**ხილვა: არშის ციხე**

რადგან რწმენა გამილახა,  
ფიქრი დასდევ ამილახვარს  
და,  
ვითარცა თითისტარი,  
წარსულ დღეთა სევდას იხვევს  
და მთელი დღე  
არწივივით –  
დასტრიალებს არშის ციხეს.

1972



\*\*\*

როცა წაგებოტინა

მიწა-

მთელი სიმკაცრით


და გზებიც დაიკლაკნენ.

შენ კი, როგორც ცის კაცი –

გაჰყევი ცის იკანკლედს\*.

2012

\*იკანკლედი – ირმის ნახტომი





\*\*\*

მიწისკენ სველ ფრთებს მიიქნევს –  
ცით მოსული წვიმის  
სევდა...

შენ კი... მით ხარ ბედნიერი:

შენი ფიქრი,

სხვათა ფიქრებს,  
წამით მაინც წინ უსწრებდა.

2007



**ბი ლე მოპასანი**

მთიებიდან მოწყვეტილი,

აქ –

არყოფნის ცვივა ნამი

და სანამ წვერს მოპარსავენ

წევს და ელოდება ღამეს –

"დიდი ფრანგი" –

მოპასანი.

2001



\*\*\*

ციდან ჩამოგზავნილი,  
ისევ ცისკენ იურვის  
სულიცა და  
სხეულიც...  
შენც, ვით დევიდ ჰიუმი,  
სიბრძნის ფილოსოფიურ –  
ცეცხლში ხარ გახვეული.

2011



**კლოდ მონე და ედუარდ მანე**

საიდანღაც მოსულემა –

უკვდავებით გადახურულ

სავანეში დაივანეს,

რადგან მხატვრის სული ედგათ –

კლოდ მონეს და

ედუარდ მანეს.

1977



**ზობისთვის რაა ბედნიერება**

რათუნდაც უბერონ სიკვდილის  
ქარებმა,  
ვარსკვლავი ცის თაღზე არასდროს  
მიჰქრება.

ყოფნა კი,  
არყოფნას არ უნდა  
ერიდოს.

შენ ბედნიერი პოეტი იქნები,  
თუკი მოკვდები ლექსის  
წერის დროს!

2014



## სამაჩაბლო

მამულის ცა და მიწა წაგართვეს,  
და გიკიღია გულში გენია,  
მტრებს და ორგულებს აღარ  
იკარებ...  
სამშობლო – შენი კართაგენია<sup>1</sup>,  
და გსურს ბრძოლაში დაიღუპო,  
ვით ჰამილკარი<sup>2</sup>.

2008

1 – კართაგენი – ქალაქი-სახელმწიფო (ძვ. წ. IX ს.)

2 – ჰამილკარი ბარკა-კართაგენელი – სარდალი



✠

\*\*\*

სურდა "მეტი სინათლე", –

სიკვდილის წინ გოეთეს.

შენ კი მისდევ სიბნელეს!

თუმცა შენი –

ღამეები

მკერდზე მთიებს იბნევენ.

2014



## ბლუზ პასკალი

ფილოსოფოსი? –

იცოცხლეთ!

გახლდათ მაღალი რანგის.

და არ ყოფილა საწყალი!

ო, იყო ბლუზ პასკალი –

"დიდი და უკმეხი ფრანგი"

1969





\*\*\*

იესომ იცვალა ფერი,

შური და მტრობა კი

არ ილგვა.

ოცი საუკუნის მერეც –

სამყაროს აურუოლებს:

გოლგოთა,

იუდეა და

გალილეა.

1993



\*\*\*

საცალფეხო ბილიკებით –  
სიბერისკენ მიმავალი,  
ტკბილ სიზმრებში  
ხშირად ვხედავ:  
ადიდებულ ხობისწყალს და  
ხორგის დამბას,  
ხობს და ხეთას.

2013



\*\*\*

საიქიოდან მობრუნებულმა  
მოსუცმა მიქამ  
თქვა: შვილნო ჩემო!  
ვერ ჩავატანე სიცოცხლეს გემო!  
ჯოჯოხეთია აქაც და...  
იქაც.

1966



\*\*\*

სუფევს ქარი და ქაოსი  
და ტყეში ხელს აფათურებს  
უკუნი ღამის წყვილიაღთა.  
მგელთან მორკინალ ბათურას  
ყეფა მომესმის  
სკვიასთან\*.

1997

---

\* სკვია – ადგილი და ღელე სამეგრელოში



\*\*\*

რადგან ვისმენთ წარსულიდან  
ზარებს –  
უხმოდ გადმორეკილს,  
რადგან გამჩენს აბარია  
ჩვენი ყოფნა და  
არყოფნა!  
უფალსა ვთხოვ მუხლმოდრეკით  
ერთად ვიყოთ –  
ორთავ სოფლად.

2010



\*\*\*

სადღაც,

სულ შორეულ წარსულში,  
კოლხეთს ზღვისკარად –  
წამოწოდილს ინახად,  
ხელში ღვთის წიგნით "ეფუთით",  
ახლა ხსოვნის გულში ინახავ,  
"კოლხურ ფსალმუნებში"  
შეფუთვნილს.

1996



## ტურინის სუღარა

ორი ათასწლეულია,

ჩვენთვის ტანჯვას რომ ვერ

მორჩა

და კვლავ უძღვებს ჟამთაბრუნვას,

მეხს და ეღვას.

და მოისმის მუდარა მზის...

"ფსალმუნებში" შენი სული ისე მოჩანს,

ვით მაცხოვრის სახე და დიდ

ვნებათღელვა,

ტურინის<sup>1</sup> ძველ სუღარაზე<sup>2</sup>.

1999

1 – ტურინი – ქალაქი იტალიაში

2 – სუღარა – ქსოვილი (ტილო), რომელშიც ჯვარცმის მერე მაცხოვარი გაახვია იოსებ არიმათიელმა და დაასვენა სამარხში.



\*\*\*

როცა მტერი შეესია საფარას და  
ფიტარეთს,  
სურდათ გულში ლახერის გაყრა,  
მაგრამ ვერ გაუყარეს!  
ცეცხლის ალი ასდიოდა  
სამწვერისს და უბისას,  
ლორეს ციხით მოდიოდა  
ხმები – ფარ-ხმალ-შუბისა.  
მაგრამ წინაპართა სული მტერმა  
ვერ შეგვიშინა,  
ბრძოლის ველზე ცეცხლად ენთო –  
გამარჯვების ყიყინა...

1971





**წმინდანი ამბროსი ხელაია**

ქნარო სულიერების,

რადგან რწმენა მაცხოვრის,

ეცადნენ,

ვერ მოგპარეს!

მიტომ სანთლად აღვინთე –

ხსოვნის დიდი ღამპარი,

კონდაკიც და

ტროპარიც.

1967



**ხილვა: ღმრთისმშობელი და  
თორმეტი ქალწული**

ღმრთისმშობელი ნათელსა ჰფენს  
თორმეტ ქალწულს  
და წუთი-წუთ მოელიან ქრისტეს მოსვლას,  
მამა-ღმერთი მათ ხილვად რომ  
იმეტებს.

თორმეტივეს –  
სამოსელი თეთრი მოსავთ,  
ვით მათთან მყოფ იოანე  
ნათლისმცემელს,  
და ვითარცა იოანე ღვთისმეტყველს.

1970



\*\*\*

მინავლდა ორი ათასწლეული,  
ქართველთა რწმენას არა და  
არა!  
წამითაც აღარ გასვლია ყავლი,  
რადგანაც იგი მიდიოდა –  
მამაუფალთან,  
გოლგოთისა და ქრისტეს ჯვრის  
გავლით.

1979



**ხის სავარცხელი – 1944**

ომს არ უჩანს დასასრული...

და ბებოს ხის სავარცხელი,  
ობლად დარჩენილი ბავშვის

თმაში,

თავის საქმეს იღევს:

და ადვიდებს წვრილი კბილით –  
არხეინად მძინარ ტიღებს.

1964



## ორაკული

ქალდეველთა დიდი სიბრძნე,  
ათასწლეულების ქვებით –  
კარგადაა მორაგვეული.  
სიბილაზე ადრე,  
კოლხეთს,  
ფაზისს ეჯდა ორაკული\*.

1967

---

\*ორაკული (ლათ.) – წინასწარმეტყველი, სასწაულმოქმედი



**ცა – ფესტოსის დისკოა**

უამთა მღვრიე ქარიშხლები –  
ათასწლეულების ბინდში  
ხსოვნის აკვანს არწევენ...

ცა –  
ფესტოსის არის დისკო –  
ვარსკვლავების ოქროს ტვიფრით  
და კოლხურად ნაწერი.

2006



## ინჩხია და აბაშა

წელი არის ათასი,

რაც რომ ერთად მოდიან,

რწევითა და ჯანჯღარით:

ინჩხია<sup>1</sup> და აბაშა<sup>2</sup>,

სკურდა<sup>3</sup> და

ჯამანჯღარი<sup>4</sup>.

1972

1,2,3,4 – მცირე მდინარეები დასავლეთ საქართველოში



**ქინძმარა და ღართისკარი**

*"მცხეთა თითქმის გაუკაცრებელია".*

*მემატიანე*

ვაჰ,

სოფელო! უბედურო;

შენი ნახვა მეწადა,

და გული დამეძმარა,

რადგან ახლა ვერ ვპოულობ:

ღართისკარს –

ძველ მცხეთასთან,

და გორთან კი – ქინძმარას!!!

1979





\*\*\*

კოლხური მზის სიკაშკაშე –  
ზღვებს აშრობდა  
და მოებს შლიდა,  
მიტომ ბევრი წარღვნის შემდეგ:  
ოქროს საწმისს,  
ოქროს ვერძებს,  
ვარსკვლავების ფესვებში და  
ატლანტიკის ფსკერზე ვეძებ.

1972



\*\*\*

მოსვლის დღიდან მოთვალთვალე –  
ბოროტების შურს და  
ზაკებს,  
შვიდგზის ლოცვა აგარიდებს.

ცა –

დაგიფრთხობს ავაზაკებს,  
და გყოფს, ვითა სამარიტელს.

2001



\*\*\*

რადგან არსთაგამრიგემ  
გზაზე მარადისობის –  
სიცოცხლე დაგარისხა!

ვიცი,  
დაიმორჩილებ  
პოეზიის ზღვასა და  
წუთისოფლის ქარიშხალს.

2014



**ხეები კველ ცინე-ქალაქთა  
ქონგურეზუა**

ქონგურეზუა დამდგარი,  
ვითა მეციხოვნენი,  
ძველთა-ძველი იბერის:  
ხეები, მზის ფოთლებით,  
ისევ ისე მღერიან –  
ქალდეველთა სიმღერებს...

1979



**ხილვა: ქრისტე ბეთანიაში**

ათასწლეულების მერეც,

მართასა და მარიამის

ვედრების ხმა მესმის:

„რაბი!

არ წახვიდე! ბეთანიას!

ჯვარს გაცმევენ,

ღღეები გაქვს მითვლილი!..”

ეჭვრეტ: იუდამ ქედს, წისქვილის

დაიკიდა ქვა-დოლაბი,

მერე...

თავი ჩამოიხრჩო შიშთვილით.

1977



\*\*\*

მაცხოვარის ხატის წინ,  
ერმათა უღვთოდ მულეტავი,  
გაიელვებს ჰეროდე! –  
ის კი უნდა ტიროდეს!!!  
შენ კი უნდა მდეროდე!

1980



\*\*\*

თუმც გვიან,

მაგრამ უკვე ვთენდები!  
და ჯოჯოხეთი აღარ  
ამცდება.

რადგან მე ვიცი, შენს სიყვარულში,  
სულ მარცვალ-მარცვალ

ჩავიმარცვლები...  
და მერე გვიან –

პურის ყანად აღმოვცენდები.

2009



**ხილვა: ქრისტე**

ვით ცბიერი მღვდელმთავრები  
ცისქვეშ უფლის სასწაულებს,  
ჟამი ისევ მიმაღავს,  
მაგრამ მაინც ვხედავ ქრისტეს,  
მკედარ ლაზარეს –  
აღდგინებად,  
ბეთანიას მიმავალს.

1969





## ეგრისი

გავლენ ასწლულები

ამაყნი და დიადი,

მომლოდინე მერმისის...

და სანთლებს სულ დაუნთებს:

ძველ კოლხეთის ტრიადას\*:

ჯაგუ,

ქუჯი და...

ვაჟა

ეგრისელებს –

ეგრისი.

2015

---

\*ტრიადა (ბერძ.) – სამება



\*\*\*

ტვის ფოთლების სიმწვანეს,  
თუმცა ზოგჯერ თვალები  
მწუხარებით ევსებათ:  
როს მშობლიურ მიწაში,  
დიდ ერისკაცს დაფლავენ,  
მერე ხეთა ფესვები  
სიყვარულით კოცნიან –  
წინაპართა საფლავებს.

1986



პოეზია – ეტლი არის ჰელიოსის

ვარსკვლავების გალობები

ველარ გართობს

და ვერც ნანა მტკვრის,

ფაზისის და ნილოსის,

რაც დარჩა და არ დაიწვა!

პოეზია –

ეტლი გახლავთ ჰელიოსის,

ვაჰ! თუ როგორ ფაეთონმა,

ველარ მართო

და... გადაწვა დედამიწა!

2012



\*\*\*

რვა კი არა,

გავიდა

ათი ათასწლეული,

რაც რომ კაცობრიობას,

"წყალ-ღვრიდან" რომ მოესმის –

განწირული ყივილი

ადამის და

ნოესი.

1984



\*\*\*

მზერა აღსავლით გაგირბის,  
სადღაც მეცხრე ცის  
კიდეზე,  
ბედის ვარსკვლავი ინთება.  
ქვას ოქროდ აქცევ  
და რკინას,  
ვერცხლად და იაკინთებად.

1993



\*\*\*

ის კოლხია –

ქართველია,

აღარ არის ქვეყნად ეგრე!

ზურგზე ჰკიდებთ სხვა

ოსრობას!!!

ნუ ასწავლის ნურვინ მეგრელს,

ქართველობას! –

ნაღდ კოლხობას!

1976



\*\*\*

სიყვარულის მზით მოჭედელ  
კვლავ იფარებ ფარს ისევე,  
სამშობლოს მტრებს ებრძვი ისევ.  
გოლგოთამდე, ვითა ქრისტე,  
ჭვრეტ მღვდელმთავრებს,  
ფარისევლებს.

1980



\*\*\*

ჭექა-ქუხილის ხმები გაისმის,  
თითქოს ცა არის –  
ველი კრწანისის –  
წითლად მორწყული სისხლით  
წინაპრის.  
ვარსკვლავთა კრთომა –  
ყიჟინაა არაგველების  
და მქრქალი მოვარე  
სისხლგამშრალი მეფე ირაკლი.

1964





ენქიცა და ლილეც

ფაზისთან და ნილოსთან,  
ხნავს და თესავს  
ნიადაგ,  
საქმეს მაინც ვერ ილევს –  
ქაღდების და ქართვების  
ცით მოსული ღმერთები –  
ენქიცა და  
ენ-ლილეც.

1977



\*\*\*

ცის ველზე მღვარ ყოფნის ხეს  
ცვივა ოქროს ნაყოფი,  
ჟამისაგან მობელილს.  
შენ ხარ სიტყვის უფალი  
ანუ –  
ყოვლისმპყრობელი.

2001



## იოანე ზოსიმე

მოხუცს სჭირდა სიბერე,

ძნელი და საშინელი,

მაინც "ენის ქართულის"

წერდა "ქება-დიდებას" –

იოანე ზოსიმე –

საბაწმინდელ-სინელი.

1978



## საქართველო გაბრწყინდება

ორი ათასწლეულია –

ქართველს ბრძოლა არ წყინდება,  
რადგან იცავს მამულს,  
ენას!

საქართველოს გაბრწყინება

ძალუძს მხოლოდ ჯვარს  
და ზენას!

1991



## პოეზიის ნეანდერტალი

სიმაღლით ერთი საუენია,  
ის განა კრუხის მოჰგავს  
პალოს  
და უშვებს წიგნებს სქელტანიანს.  
მაინც აპოლონი  
აღარ წყალობს,  
რა ქნას!  
პოეზიის ნეანდერტალია\*.

1999

\* ნეანდერტალი – ადამიანი, თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპარი, რომელიც ცხოვრობდა ადრინდელ და შუა პალეოლითში.



\*\*\*

სიცოცხლეს და სიკვდილს,  
მზის ცხელ გრდემლზე მოპირე  
და მტერიც დაამუნჯე,  
ვით ლექსის ოქროპირმა  
"და სიტყვათა საუნჯემ"

1999



## ლაზარი

მეუფობდა, სამყაროს

სხვა ენათა წინარე

და იგი დღესამომდე,

"სახარებასა შინა,

არის ისევ მძინარე".

2001



## მოლოდინო

მითიური კოლხეთის

ელის მთაც და

ფერდობიც

"კოჭმშვენიერ" მედეას.

საქართველო, ვით წინათ,

ახლაც მოიმედეა,

ზეციური დედოფლის.

1984





**ხილვა: მარები, მაკრონები,  
მაკრისები და მაკრალები**

რადგან არ ჰყავდათ პატრონი!!!  
სპარსები და ხეთები  
ცეცხლის ჯვარზე აკრავდნენ:  
მარებსა<sup>1</sup> და მაკრონებს<sup>2</sup>,  
მაკრისებს<sup>3</sup> და  
მაკრალებს<sup>4</sup>.

1977

1,2,3,4 – კოლხური (ქართველური) ტომები



\*\*\*

იყვნენ გვირგვინოსნები,  
მაგრამ გზაზე შეაშრათ  
ნეტართ,  
პირზე ღიმილი.  
შენ კი ცაზე ოცნების –  
მიხვალ –  
პილიგრიმივით.

2002



## რწმენა

*"საქართველოს  
გადარჩენის რაღაც  
იარაღი გააჩნია".  
ბლუზ პასკალი*

ჯარი ათასწლეულების –  
ომის გზებით მიდიან...  
ალიგავენ მიწიდან –  
ხეთაცა და მიდიაც.  
ჩემი სისხლი სამშობლოს  
ცას მთიებად აჩნია.  
"საიდუმლო?!" –  
ბლუზ პასკალ!  
რწმენამ გადაარჩინა!

1993



## ბაბილონი, ქანაანი და სირაკუზა

სწამდათ:

უამი ძერას ვერ უზამს!  
ადიდებდნენ და აქებდნენ,  
სამყაროს რომ სილამაზის ეჯდა კუზად,  
დრომ დაამხო –

კოლხთა მიერ ნაშენები


ქალაქები:

ბაბილონი,

ქანაანი და

სირაკუზა.

1980



\*\*\*

(ვარიანტი)

თბილისს, კლდეებით მოღობილს,  
წარსული აღარ აშინებს.  
ვახტანგ გორგასლის  
ხოხობი,  
სადღაც მეტეხის ციხესთან,  
მტკვარზე ფრთებს  
მოატყლაშუნებს.

1959



## შ ა ვ ი ზ ღ ვ ა

ერქვა "პონტო" და "ცალფა",  
"ჰელესპონტი", "შავი ზღვა"  
აწ დიდება ელოდება სხვა!  
მიტომ უნდა დაერქვას,  
შავ ზღვას, მუდამ ბობოქარს,  
"ვაჟა ეგრისელის ზღვა"

2002



\*\*\*

მიღმა ათასწლეულთა,  
როს წინასწარ კოლხების  
ცამ დარეკა დაისი...  
ატლანტიკის ფსკერიდან,  
ახლაც ის ხმა გაისმის...

1972



## სამებრელო – ებრისი

ძმები მტრობენ ერთმანეთს,

ვით ღავით და

ესავი.

ეგრისი რომ გაგლიჯონ

არის ამის მცდელობა!!!

მაგრამ, ვაჟავ, შენსავით,

ამაქვეყნად ვერავინ

ვერ იქმს...

ეგრისელობას.

1993





\*\*\*

სველ ღრუბლებზე მდგარი მოვარე –  
ფიცრულს ჰგავდა  
ლოკოკინის.

ჭრიალებდა ღამის კარი.  
და შიგ ჩანდა ვარსკვლავებით  
ცა – მიკონკილ-  
მოკონკილი.

1979



## ქვიშის საათი

ცის უჟამო ბილიკებით –

მოელიან ელვის ყიაღს  
მთები!

მეხის მეფობს შიში!

თუმც წვრილ-წვრილი ვარსკვლავები  
ქვიშასავით ცაში ყრია...

მთვარეც საათია ქვიშის.

1957



ენუმა ელიშა

ანუ

ეპოსი ქვეყნის ბაჩენის შესახებ

ტიგროს – ევფრატ და ენგურში –  
შუმერთა და ქალდეველთა  
მითები და ლეგენდები  
და ცრემლები ყრია მათი.  
ფაზისი და  
ნილოსია –  
აფსუცა<sup>1</sup> და თიამათიც<sup>2</sup>.

1979

1 – აფსუ – მტკნარი წყლები, მამრობითი საწყისი

2 – თიამათი – მღაშე წყლები, მდედრობითი საწყისი (სადაც  
ჩაისახნენ ღმერთების თაობები (შუმ).



## ხმა

სამი საუკუნის მერე,

როგორც მაშინ,

ბავშვობისას,

მზე ამოდის ბორცვს იქიდან

და დრო-ჟამის წყვედიადს

აპობს –

ცრემლნარევი ხმა – კოლხური:

შვილო, ნაპოლეონ,

ნაპო!

სად წახვედი კორსიკიდან?!

1972



**ქალდეელებს ბიბლიის  
და ბიზანტიის**

ჩვენი ძველი ისტორიის  
მზით მოქარგულ ოქროს  
სამოსს,  
ჩვენ კი არა, სხვა იზომებს:  
და ასაღებს "ურიებად" –  
"ქალდეელებს ბიბლიის  
და ბიზანტიის",  
მცხეთისა და ტრაპიზონის.

1981



## ბლოგუსი

შენ ხარ ცისა და მიწის გლობუსი,  
ჰკრავ პოლუსებს და  
მერიდიანებს;  
წელზე გარტყია განედების  
ოქროს სარტყელი.  
და ეს სამყარო – მუდამ მზიანი,  
კვლავ ხელისგულზე  
გიზის ბარტყივით.

1998



\*\*\*

კოლხეთის და კოლხური,  
ძალა მოგდევს დევური  
და მადლით ხარ მოსილი.  
მზე გათბობს –  
ქალდეური,  
ღმერთკაც ორფეოსივით.

2004



## ნაბუქოდონოსორი

ათასწლეულების მერე,  
არ ჩანს მეფე ნაბუქოდო –  
ნოსორი და ისევ ისე,  
ისევ ისე ბაბილონის ქალდევეთში  
ვეძებ ვარსკვლავთმეტყველ  
კოლხებს,  
ლაზ-ქურუმებს და ჭან-  
მისნებს.

1987





**მედვას და სემირამიდას გაღები**

ოთხი ათასწლეული,

ვით მითი და ლეგენდა,

უძღვის მზიან ამინდად

ზღაპრულ კოლხეთს – მედვას...

და ბიბლიურ ბაბილონს –

ბაღი სემირამიდას.

1967



## ენოქი და ელია

იცის უფალმა, რომ არასდროს  
გაახარებენ –  
მენცარ ენოქს და თეზბიტელ  
ელიას.

მიტომ ცაში ელუასავით "ადიტაცა".  
და მეორედ მოსვლის წინ კი,  
ისე, როგორც იოანე  
მახარობელს,  
ნეტარები, მზის ჩასვლისას ელიან.

2001



## მერე

რაც ყოფილა წარღვნა ადრე,  
იქნებაო  
ისევ მერე.  
და ბებერი თბილისი კი,  
თოვლით უფრო თავს იბერებს  
და... ზოოპარკთან,  
საქართველოს,  
მწარე წარსულს ტირის ვერე.

1974



\*\*\*

საიდუმლოს გულში მარხავს,  
უკვდავება მიტომ შვენის.  
და ქართული ენა გახლავთ,  
სხივმოსილი ენა უფლის  
და სამყაროს ყველა ენის  
ხაწა –  
"კულტურული შუბლი".

1973



**ევსტათი მცხეთელი**  
**ნეოფიტე ურბნელი**

როცა ქართველის მზიან ცაზე,

თათარ-სპარსთა და

არაბთა –

იდგა შავი ღრუბელი.

ქრისტესათვის თავს სწირავდნენ:

წმინდა ევსტათ მცხეთელი<sup>1</sup> და

ნეოფიტე ურბანელი<sup>2</sup>.

1966

---

1 – სპარსი

2 – არაბი



## პილატუს და იუდეველი

ერთს კი ასად აზღვევინებს,  
სიკეთისთვის ქრისტეს ჯვარცმას,  
განა ღმერთი მიუტევებს  
ფარისევლებს და  
მღვდელმთავრებს,  
პილატეს და იუდეველთ.

1976



## გრაალსა და ეფუთის

თქმულების და ლეგენდის –  
აბრეშუმში შეფუთენილს,  
საიდუმლო ბეჭედი –  
ქალდეური ადევს მზის:  
გრაალსა და  
ეფუთის  
და ხევსურულ ადრეზის.

1973



## ხმა იღუმალი

განიშორე სუდარა,

აღსდებ,

წამოიწიე!

ბინდში მთვლემარ სამყაროს

გადუქროლე ქუხილად,

რომ შენს გარდა სხვა შარა,

აღარ ჰქონდეს ს ა მ ა ნ ა დ:

ცისიერს და

მიწიერს,

ხილულსა და უხილავს.

2014





## 300 აბრამმა და მოსემ

შენ ხარ შთამომავალი –

ეგროსის და იობის.

უფლის მადლი აცხია-

შენი ღოცვის სამოსელს.

ჩამორეკე სხვა ზარი,

ვით აბრამმა და მოსემ,

და ვით ელიაზარმა.

1987



\*\*\*

ახლო არა,

შოთრეული,

გადმოგვეურებს ცა –

მზიანი,

ქაღდური ფერი – ფერს რომ ერთვიან.

ვით სამება:

მამა, ძე და სულიწმინდა –

ერთია –

"ნანა",

"რეა-კიბელა" და

"ფასიანე".

1969



## მუსკები და კასკები

არ ისვენებს დედა პონტო,  
დელაგს...  
გულზე ასკდება! –  
რომ ძახილი აღარ ისმის:  
ტამალების<sup>1</sup>,  
ტაბალების<sup>2</sup>,  
მუსკების<sup>3</sup> და კასკების<sup>4</sup>.

1978

---

1,2,3,4 – უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები



## ალქიმიკოსი

მოგდევს ნიაღვარივით  
ღრიანცელი მგოსნების,  
ოქრო-ვერცხლით ივსება –  
ვარსკვლავების ურნები.  
და გზა შენგან იწყება –  
შორი ათასწლეულის,  
შენ კი მოურჩენელი –  
პოეზიით სნეული,  
"ფილოსოფიური ქვით" –  
აწ ვერ განიკურნები.

2012



## მთაწი

წყვიადში ვიღაც იბახის – მალე!  
და აბრიალებს ცეცხლივით  
თვალებს...  
შუა იპობა კლდეები სალი,  
მოულოდნელად ცემისგან ნალის  
და...  
სადღაც ისმის კივილი დალის.

1965



\*\*\*

შენც ატარებ ოქროს გვირგვინს,  
ცისქვეშეთში ერთადერთობ  
და სამყაროს უფლი ირგვლივ,  
გსურს შენი მზე ყველგან ენოს.  
და წარსულში,

ვით აიეტ,  
თავმომწონედ კვლავ მეუფობ,  
აქ – აიას,  
იქ – კორინთოს.

2007



## ლაზარე

*"...და ესე ენაი? მძინარე არის დღესამომდე, და  
სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე პრქეუან".*

უფლის ენა ლაზარე –

იგივე ძველი კოლხური,

რომელსაც ვერ აღვიძებს

ხუთი ათასწლეულის მიწისძვრა და

ქუხილი,

მაგრამ რა დღეს, რა ხვალე,

მას უფალთან ნახავენ

და მზეს მოჰყენს სამყაროს –

ხილულსა და უხილავს.

1973



\*\*\*

ქართველებს –

ბრძოლით გადაღლილთ,

მტერი სულ ჰყავდათ ოდიდან,

ვუძლებდით ნგრევას და რისხვას,

მაგრამ ბოლოს კი მათი ზღვა

წაგვეკავს...

ისე მოდიდა!!!

1993





\*\*\*

არსთა გამრიგესთან ლოცვამ და  
ხვეწნა-

მუდარამ დამღალა,  
გაბზარულ გულს ვერ გამრთელებ!  
და ვითა ვაჟა ჩიოდა,

მეც ვამბობ –

ღმერთო მაღალო!

"შეაყვარე ქართველს ქართველი"

1989



\*\*\*

რწმენის მაღალი ტაძრები

ურწმუნო,

ურჯულოებმა,

რაც აოხრეს და არბიეს...

სწორედ იქ –

სანთლებს უნთებენ –

მამებს: ვასილს და გიორგის,

იოანეს და გაბრიელს.

2009



\*\*\*

*"გამოცხადა უფლის ანგელოზი  
ცეცხლის აღად შუა მაყვლოვანში".*

*გამოსვლა 2,2*

ჩე გოლა –

ჩემთვის მთაა ქორიბის,  
კოლხეთი ამის გამო ცხარდება.

ვას!

თუ წარსულის სხივს გამაყოლა!  
აღში გახვეულს ვხედავ მაყვლოვანს  
და ველი უფლის გამოცხადებას.

1993



## ღ რ უ ბ ლ ე ბ ი

თავის მშობელ დედამიწას,  
კვლავ დასტირის ცა –  
ორსული,  
ღამეები დღეებისთვის ისევ  
აუღვენებია.  
და ღრუბლები ელვის ეშვით,  
ზღაპრებიდან გადმოსული  
ბიბლიური დევებია.

1971



**სარჩევი**

\*\*\* (სანამდის ძეს ადამის)..... 25  
 ბელურა..... 26  
 \*\*\* (ცხოვრება) ..... 27  
 ერთი ვარსკვლავი ..... 28  
 \*\*\* (სანამდის მოვალთ) ..... 29  
 \*\*\* (მივიწყებულ ქალდეველთა) ..... 30  
 გილგამეში და ენქიდუ..... 31  
 \*\*\* (მზის კვერცხს ხელისგულზე  
 გვიწვავს) ..... 32  
 \*\*\* (ნიადაგ გიხმობს კოლხეთი) ..... 33  
 \*\*\* (საყელო მადლა აწეულები)..... 34  
 თობალი..... 35  
 \*\*\* (ცაში უფლის სახილველად) ..... 36  
 კოლხური ნანა (ნანინა) ..... 37  
 სარგონი და აშურნა..... 38  
 სამი მუშკეტერი ..... 39  
 \*\*\* (გაზის უზარმაზარ გრდემლზე  
 ნატყედი)..... 40  
 \*\*\* (ლამაზ დღეებზე ფიქრებით

დაღლილს).....	41
*** (ქარებმა მთები გადმოლახეს და).....	42
*** (წუთისოფელი ბევრჯერ გემცხეთა).....	43
რუსთაველის თუ შექსპირის.....	44
*** (ელვა სიშორეს ჩაიღიმილებს).....	45
*** (ქაოსი და ბნელი იყო).....	46
*** (ჩავლილი ათასწლეულის).....	47
*** (საქართველოს საღალატოდ).....	48
*** (ასურების ომის ცეცხლი).....	49
მეფე თიგლათ-ჰილასარი.....	50
გ-ს.....	51
*** (მორჩა!).....	52
გურულები და იმერლები.....	53
ანდერძისმაგვარი.....	54
*** (ოცდათორმეტი საუკუნეა).....	55
ეგრი, მეგრი, აია.....	56
ორი ტალღა.....	57
გათენება სოფლად.....	58
*** (ზღვა მუშტებს მიღერებს).....	59
*** (ცით რომ ჩამოეშვა).....	60
*** (ვით წინათ ოცი ათასწლეულის).....	61

ფსალმუნების ბაღი .....	62
ისევ ქასქები.....	63
*** (ქარს მთელი ღამე ატატებული).....	64
*** (ვარსკვლავებიდან ჩამოსული) .....	65
*** (ზღვა ქარიშხლისგან მიტოვე- ბული) .....	66
*** (ჩემს ღამაზე დღეებს).....	67
*** (აქ დარჩენილებს).....	68
*** (გამთენიისას ღამემ მთოვარე).....	69
*** (წუთისოფლის ცუდი გზები).....	70
დმანისიცი და აფრიკაცი .....	71
*** (ყოძრალ საწუთროში მოსვლით) .....	72
*** (ჩემი ბედი, დანისღული) .....	73
*** (არვინ უწყის, კოლხეთი) .....	74
*** (ისე, ვითა ტყუპისცალი) .....	75
*** (ჰელიოსის ნაშიერი).....	76
მუსკები და ტიბარები.....	77
*** (მიწის კი არა).....	78
აღბათ.....	79
*** (უფალმა მით შთაგაგონა) .....	80
*** (ორი ათასწლეულია).....	81

ზეციური ცეცხლი.....	82
*** (მნათებია ღამის ფესვებია) .....	83
*** (მზე რომ მოდგება აღმოსავლეთით)....	84
*** (ზღვისკარად მდგარ თუთარჩელას)....	85
*** (ზღვის და ქარიშხლის ნაშიერს) .....	86
სერაფიმე როუზის .....	87
*** (გიყვარდეს შენი სამშობლო) .....	88
ხორვა .....	89
*** (ეხლა არავის უკვირს).....	90
ხიდი .....	91
*** (უნდოდათ შენი ცხოვრების) .....	92
*** (უფალს ვთხოვ, რომ შემარკინოს).....	93
*** (საწუთრო სურათს გიღებდა) .....	94
ვითარც მოსეს „ხუთწიგნეულს“ .....	95
რუის-ურბნისი.....	96
*** (მირიადი წლის უღრანში) .....	97
სამეგრელოს მეოთხე დაღაშქერა.....	98
*** ("კაფე-თესეს" – ხმობს გუგული) .....	99
*** (სამი ათასწლეულია) .....	100
*** (მიიჩქარიან სადღაც ღრუბლები...) .....	101
*** (მახათას მთა და მთაწმინდა) .....	102



ბარათაშვილი..... 103

\*\*\* (ორი პატარა ღრუბელი)..... 104

გოლგოთა..... 105

\*\*\* (მამლის ყივილების ბაწრით)..... 106

გვალვა ..... 107

საყდრისი..... 108

\*\*\* (ადიდებულა მტრობის მდინარე) ..... 109

\*\*\* (მესხთა-ტყეხით და წვიმებით სავსე)..... 110

\*\*\* (აღარ გ შორდება და დაგყურებს) ..... 111

\*\*\* (ომების ცეცხლით გადანისლული).... 112

\*\*\* (ვიცი) ..... 113

კორიდა ..... 114

\*\*\* (გილგამეშივით "განჭაბუკების)..... 115

\*\*\* (კვლავ გამოჰყო ელვამ ენა)..... 116

\*\*\* (ქარიშხლის რაშზე ამხედრებულ) ... 117

\*\*\* (ასწლეულები ხელთ უპყრიათ)..... 118

\*\*\* (შორეთიდან მოფრენილი)..... 119

\*\*\* (ლოცვა-ვედრებად მადლა ასული).... 120

კოლხური ანბანი..... 121

\*\*\* (ცა იყურება მთვარის სარკეში)..... 122

\*\*\* (იდუმალეებით გადახურული) ..... 123

*** (ვაჟაა!) .....	124
*** (ნუ შეგაკრთობს, ქართველო!).....	125
ხევსურეთში .....	126
*** (ბეთლემსა და ქაანანს) .....	127
ნაპოლეონ ბონაპარტე.....	128
*** (ვაჟავ!).....	129
ბედის ბელაური.....	130
*** (ასიათას კოსმიურ ცეცხლის აღში)..	131
*** (ის ღვთისშვილია).....	132
*** (ქართველები ოქროს ჯვარს).....	133
*** (ლ. ჩ.-ს) ამ წუთისოფლად კაცურ- კაცობის).....	134
*** (მათ იციან) .....	135
*** (ზოგ-ზოგთა ლექსებს და პოემებს) ....	136
ისევ კორიდა.....	137
*** (მზე მიჯადოქრობს აღსავლით...)	138
სამცხე-საათაბაგოს.....	139
დაღესტანში.....	140
*** (სიყვარულით გადახურულ) .....	141
*** (მირიადების დგას ღრიანცელი...)	142
ორფეოსს და მეფისტოფელს .....	143

*** (ფიქრი ათასწლეულთა).....	144
კოლხი – 5 200.....	145
*** (ველარ აკროტობს ქარიშხლის).....	146
*** (სახეტილოდ სულო!).....	147
*** (მონა ხარ უფლის და ნამუსის).....	148
მაგური.....	149
*** (ქარები) .....	150
*** (დაღლილ ათასწლეულებს) .....	151
ხილვა: მამა-შვილი – იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები.....	152
*** (ისე).....	153
*** (წვიმაა თუ ქარია).....	154
*** (მეცხრე არა).....	155
*** (როს გაახელს ცა თვალს ისნის) .....	156
გუბაზ მეფის მკვლელობა.....	157
დანი .....	158
*** (შენ დღეები მზით გამოსავენ) .....	159
ექესი, სამი, ერთი.....	160
*** (სადღაც) .....	161
*** (ქართულ სიტყვის მებადური).....	162
*** (სინათლესა და სითბოს ჩვეულება).....	163

*** (მომლოდინე ცის თაღზე) .....	164
*** (იყო გოლგოთა...).....	165
*** (ხობისწყალს და პარას ჭაღას) .....	166
ხილვა: არშის ციხე .....	167
*** (როცა წაგეპოტინა).....	168
*** (მიწისკენ სველ ფრთებს მიიქნევს) .....	169
გი დე მოპასანი .....	170
*** (ციდან ჩამოგ ზავნილი) .....	171
კლოდ მონე და ედუარდ მანე .....	172
ზოგისთვის რაა ბედნიერება.....	173
სამაჩაბლო.....	174
*** (სურდა "მეტი სინათლე").....	175
ბლეზ პასკალი.....	176
*** (იესომ იცვალა ფერი).....	177
*** (საცალფეხო ბილიკებით) .....	178
*** (საიქიოდან მობრუნებულმა) .....	179
*** (სუფევს ქარი და ქოსი).....	180
*** (რადგან ვისმენთ წარსულიდან) .....	181
*** (სადღაც) .....	182
ტურინის სუდარა .....	183
*** (როცა მტერი შეესია საფარას და).....	184

წმინდანი ამბროსი ხელაია .....	185
ხილვა: ღმრთისმშობელი და თორმეტი	
ქალწული .....	186
*** (მინავლდა ორი ათასწლეული) .....	187
ხის სავარცხელი – 1944.....	188
ორაკული.....	189
ცა – ფესტოსის დისკოა .....	190
ინჩხია და აბაშა.....	191
ქინძმარა და ღართისკარი.....	192
*** (კოლხური მზის სიკაშკაშე).....	193
*** (მოსვლის დღიდან მოთვალთვალე) ...	194
*** (რადგან არსთაგამრიგემ) .....	195
ხეები ძველ ციხე-ქალაქთა ქონგურებზე..	196
ხილვა: ქრისტე ბეთანიაში .....	197
*** (მაცხოვარის ხატის წინ).....	198
*** (თუმც გვიან).....	199
ხილვა: ქრისტე ბეთანიაში .....	200
ეგრისი .....	201
*** (ტყის ფოთლების სიმწვანეს).....	202
პოეზია – ეტლი არის ჰელიოსის .....	203
*** (რვა კი არა).....	204

*** (მზერა აღსაველით გაგირბის).....	205
*** (ის კოლხია).....	206
*** (სიყვარულის მზით მოჭედილ).....	207
*** (ჭექა-ქუხილის ხმები გაისმის).....	208
ენქიცა და ლილეც.....	209
*** (ცის ველზე მდგარ ყოფნის ხეს).....	210
იოანე ზოსიმე.....	211
საქართველო გაბრწყინდება.....	212
პოეზიის ნეანდერტალი.....	213
*** (სიცოცხლეც და სიკვდილიც).....	214
ლაზარე.....	215
მოლოდინი.....	216
ხილვა: მარები, მაკრონები, მაკრისები და მაკრალები.....	217
*** (იყვნენ გვირგვინოსნები).....	218
რწმენა.....	219
ბაბილონი, ქანაანი და სირაკუზა.....	220
*** (თბილისს, კლდეებით მოღობილს)....	221
შავი ზღვა.....	222
*** (მიღმა ათასწლეულთა).....	223
სამეგრელო – ეგრისი.....	224

\*\*\* (სველ ღრუბლებზე მდგარი მთვარე)...225  
 ქვიშის საათი.....226  
 ენუმა ელიშა ანუ ეპოსი ქვეყნის გაჩენის  
 შესახებ .....227  
 ხმა .....228  
 ქალდეველებს ბიბლიის და ბიზანტიის.....229  
 გლობუსი .....230  
 \*\*\* (კოლხეთის და კოლხური)..... 231  
 ნაბუქოდონოსორი .....232  
 მედეას და სემირამიდას ბაღები.....233  
 ენოქი და ელია .....234  
 ვერე .....235  
 \*\*\* (საიდუმლოს გულში მარხავს) ..... 236  
 ევსტათი მცხეთელი ნეოფიტე ურბნელი...237  
 პილატეს და იუდეველთ .....238  
 გრაალსა და ეფუთის.....239  
 ხმა იდუმალი .....240  
 ვით აბრამმა და მოსემ.....241  
 \*\*\* (ახლო არა) ..... 242  
 მუსკები და კასკები .....243  
 ალქიმიკოსი .....244  
 მთაში.....245

*** (შენც ატარებ ოქროს გვირგვინს) .....	246
ლაზარე .....	247
*** (ქართველებს) .....	248
*** (არსთაგამრიგესთან ლოცვამ და).....	249
*** (რწმენის მაღალი ტაძრები).....	250
*** (ჩე გოლა) .....	251
ღრუბლები .....	252



פ. מ. ו. ב. ר. ח.

"עמותת 'אנשים' 100-שנה"  
בשנת 1997, הוקמה עמותת 'אנשים' למען  
העיתונות, החינוך והקהילה, על ידי חברי  
המועצה הלאומית של האיגוד העולמי  
לעיתונות, בהנהגתו של ש. ג. זעירא.  
העמותה פועלת למען  
הקידום והפיתוח של העיתונות, ושל  
החינוך והקהילה, ושל העיתונאים  
החדשים. העמותה פועלת גם  
לעידוד העיתונאים הוותיקים,  
ולעידוד העיתונאים החדשים,  
ולעידוד העיתונאים הוותיקים.

מחלקת הכלכלה והמנהל  
הכלכלי  
2020 ב.



ვაჟა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 3

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 3

გამომცემლობის

რედაქტორი

– ბელოდი ფოცხიშვილი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუშუბაძე

კორექტორი

– იამზე რობაქიძე

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ება და დავით ჯიფშელაძეები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი

2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com